გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№110 (866) 23 – 24 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

## ყოფილ მაღალჩინოსნებს აფეთქების ინსცენირება სააკაშვილმა არჩევნებში გასამარჯვებლად დაავალა?!

გვ. 2



ხურჩის ტერაქტის საქმე გახსნილია — შსს-მ ინციდენტის ორგანიზატორები დააკავა

## ხმის მიცემის პროცედურები

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გვ. 3

## გოგა ხაინდრავა



„არჩევნების მეორე ტურის გამართვის შანსი არ არსებობს!“ გვ. 5

## აგენტების მხილება თუ უსუსური პროვოკაცია

ვის აწყობს „ქართული ოცნების“ ლიდერების კუდ-ის აგენტებად გამოცხადება და გახდება თუ არა გამოქვეყნებული მასალები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მიზეზი?

გვ. 4

### ვალერი ხაბურძანია

„არ გამოვრიცხავ, ინფორმაცია აგენტების შესახებ, სატყუარად დატოვეს ნაციონალებმა სამართალდამცავ სტრუქტურებში“



ლიბერთი ბანკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტი

CitvPass

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

გვ. 10

## ჩინეთის ახალი გეგმა აშშ-ს „ჩასაჩოჩებლად“



2015 წლისთვის იუანი დოლარს მნიშვნელოვნად შეავიწროვებს

გვ. 6

## „განათლების შვიდი მინისტრი შეიცვალა, სულელური დადგენილების შეცვლა კი არავის უცდია!“

გვ. 10



განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ რა ბარიერებს შეეწირა საცირკო ხელოვნება

# ყოფილ მაღალჩინოსნებს აფეთქების ინსცენირება სააკაშვილმა არჩევნებში გასამარჯვებლად დაავალა?!

## ხურჩის ტერაქტის საქმე გახსნილია — შსს-მ ინციდენტის ორგანიზატორები დააკავა



რუსუდან შელია
557-100-768

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით, ყოფილი მაღალჩინოსნები — რომან შამათავა და მალხაზ მურღულია დააკავეს. რომან შამათავა, წინა ხელისუფლების პირობებში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, მალხაზ მურღულია კი ამავე სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოში მუშაობდა.**

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2008 წლის 21 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად, ტერორისტული აქტი დაგეგმა და განახორციელა კიდეც. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყოფილი მაღალჩინოსნის ქმედებამ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისა და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება შექმნა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებაც ხელყო. კერძოდ, სწორედ 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით, ზუგდიდში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ხალხმა ტრანსპორტში ჩასხდომაც კი ვერ მოახერხა, რადგან სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში პანიკა გამოიწვიეს. მეტიც, მალხაზ მურღულიამ „ერ პე გე“-ს ტიპის ყუმბარმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები ააფეთქა.

აფეთქების შედეგად, სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მოქალაქე ნანი ქარდავამ მიიღო.

გამოძიების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს მიყენებული ზიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან აუნაზღაურეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სსსკ-ს 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ხურჩის ინციდენტის გარშემო გაჩნდა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა და ეჭვი, რომ აფეთქება ქართული მხარის მიერ იყო მოწყობილი. რადგან საპარლამენტო არჩევნების დღეს გაერო-ს მისია ენგურის ხიდზე მოსახლეობის გადაადგილების პროცესს აკვირდებოდა, გაერო-ს უშიშროების საბჭო თავის ანგარიშში ხურჩის ინციდენტსაც გამოეხმაურა — გაერო-ს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენლები, ივარ დალე და ოგე ბორჩგრევინკიც ფაქტის ობიექტურად გამოძიებას ითხოვდნენ. სხვათა შორის, ორივე მათგანი სოფელ ხურჩას აფეთქების მეორე დღესვე ეწვია, სადაც თვითმხილველებმა დეტალურად უამბეს, რომ ქართველი ამომრჩევლები საქართველოს მიმართულებით ხმის მისაცემად მართლაც მიემგზავრებოდნენ. ივარ დალე იხსენებს: **„ავტობუსები ხურჩის სტადიონზე გაჩერდნენ, სადაც მოგვიანებით, აფეთქება მოხდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფეთქებამდე ტელეჟურნალისტები უკვე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, ხოლო სროლისთანავე ადგილზე სამხედროებიც მოვიდნენ. მოგეხსენებათ, სოფელი ხურჩა დემილიტარიზებულ ზონაში მდებარეობს. უახლოესი სამხედრო ბაზა 20 წუთის სავალზეა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, როგორ მოახერხეს შეიარაღებულმა ძალებმა ასე სწრაფად შემთხვევის ადგილზე მისვლა?**

ადგილზე მისულ გაერო-ს სამხედრო ექსპერტს ისიც აეჭვებს, რომ ყუმბარის სროლა, რომელიც ავტობუსებს მოხვდა, განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს და ეს მხოლოდ ახლო მანძილიდან იყო შესაძლებელი. ივარ დალეს თქმით, აფეთქების ტრაგიკული სცენარი, წინასაარჩევნოდ, ყურადღების გადასატანად იყო მომზადებული. პან გი მუნი თავის ანგარიშში, ფაქტობრივად, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებას იმეორებს: **„21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, სოფელ ხურჩასთან, რომელიც ბუფერული ზონის სიახლოვეს მდებარეობს, ყველაზე სერიოზული ინციდენტი მოხდა. ამჯერად მასიური ორმხრივი სროლა ფეხბურთის მოედნის ირგვლივ მიმდინარეობდა, სადაც გალის რაიონის მოსახლეობა ავტობუსებით ზუგდიდში გასამგზავრებლად და ხმის მისაცემად შეკრიბეს. გამოძიებისას გაირკვა, რომ თავდამსხმელების მხრიდან ცეცხლის გახსნის შემდეგ ფეხბურთის მოედანზე შეკრებილი მოსახლეობა გაიქცა, ხოლო ცარიელი ავტობუსები ყუმბარმტყორცნებიდან დაცხრილეს და ააფეთქეს. ინციდენტის შედეგად, სამი ადამიანი საავადმყოფოში მიიყვანეს, ერთ-ერთი მათგანი კი მძიმედ დაჭრილი იყო. ქართული უშიშროების წარმომადგენლები შემთხვევის ადგილას მალევე მივიდნენ და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნეიტრალური ტერიტორიის მიმართულებით ისროდნენ. ინციდენტი სრულად გადაიღეს ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა. ქართულმა მხარემ ინციდენტზე პასუხისმგებლობა მაშინვე აფხაზურ მხარეს დააკისრა, თავის მხრივ კი, აფხაზურმა მხარემ ინციდენტთან ყოველგვარი კავშირი უარყო. მისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, დადგინდა, რომ ადგილი, საიდანაც თავდამსხმელები ისროდნენ, ავტობუსებიდან დაახლოებით 100 მეტრით იყო დაშორებული და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდა“.**

ანგარიშში პან გი მუნი აფხაზურ მხარეს მოუწოდებს, UNOMIG-ის (გაერო-ს სადამკვირვებლო მისია) თავისუფალ გადაადგილებას ხელი შეუწყოს, ხოლო ქართულ მხარეს მიმართავს, დსთ-ს სამშვიდობო ძალების შესაბამის ზონაში გადაადგილება დაიცვას.

ხურჩის ინციდენტის დეტალებს „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, „კონსერვატორი“ **ზვიად ძიძიგურიც** იხსენებს და აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში გასამარჯვებლად საკუთარ მოქალაქეებსაც კი სასტიკად უსწორდებოდა: **„ნაციონალური მოძრაობა და პირადად მიხეილ სააკაშვილი, ყოველთვის მზად იყო, არჩევნებში გასამარჯვებლად ტერაქტის ინსცენირება მოეხდინა. სამარცხვინო ფაქტია — სოფელ ხურჩაში ნაციონალმა მაღალჩინოსნებმა მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი თავადვე გაუხსნეს, რითაც არჩევნების დღეს სრული ისტერიკა გამოიწვიეს. შედეგად, მოსახლეობას პოლიტიკური პარტიები საერთოდ მიავიწყდა და ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავს რუსები დაგვესხნენ და რაც შეიძლება სწრაფად დავუჭიროთ მხარი მთავრობასო. „ქართული ოცნება“ მსგავსი ტიპის მაქინაციებში არასოდეს ჩაერთვება. 2008 წლისა და წლევანდელი არჩევნები ერთმანეთისგან ცასა და დედამიწასავით განსხვავდება — დღეს ხელისუფლება ევროპული ტიპის არჩევნებს ატარებს, ამიტომ ვფიქრობ, ვინც არჩევნებში მსგავსი ტიპის მანიპულაციებით იყო დაკავებული, კანონის წინაშე მკაცრად უნდა დაისაჯოს. ხურჩა კლასიკური შემთხვევა იყო, როცა ტერაქტის ინსცენირება მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობის დასაკავებლად დაგეგმა“.**

ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ხურჩის ინციდენტი ნაციონალური მოძრაობის ინსცენირების პირველი შემთხვევა არ არის: **„კარგად მახსოვს ე.წ. რუსების აგენტების დაკავება განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებოდა ხოლმე. მსგავსი ხერხებით წინა ხელისუფლება არჩევნებს ტოტალურად აყალბებდა“.**

ხურჩის ინციდენტს შემზარავს უწოდებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიაც: „შემზარავია იმის გააზრება, რომ ნაციონალური მოძრაობა ტერაქტის ინსცენირებას საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ახორციელებდა. მხოლოდ ეს ფაქტია საკმარისი იმისათვის, რომ მსგავსი მეთოდების ავტორი და შემოქმედი კანონის წინაშე უმკაცრესად დაისაჯოს. წარმოიდგინეთ, მათ მიერ დაგეგმილი ტერაქტის საკუთარ თავზე ასაღებად მოსახლეობას აწამებდნენ და აუპატიურებდნენ. ვინც მსგავსი ქმედების გამართლებას ცდილობს, ამ სასტიკი დანაშაულის მონაწილეა“.**



## საწვავი გაიაფდება?

კახა კალაძემ თურქმენულ მხარესთან ნავთობპროდუქტების შემოტანასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, აზერბაიჯანის მხარე თანახმაა, სატრანზიტო დერეფანი თავისუფალი იყოს. მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მინისტრი საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს: **„მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ დასრულებულა. დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში, სატრანზიტო დერეფნის გათავისუფლების შემდეგ, ამ ბაზრის თავისუფლებასაც ვიგრძნობთ. ეს კი იმის საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ საწვავზე ფასების დაწევას არ გამოვრიცხავ“.**

*„პირველი“*



## მიხეილ სააკაშვილი დიდი დიღმის რეზიდენციას ტოვებს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი ოჯახი დიდ დიღომში მდებარე სახლს ტოვებენ. სახლიდან ნივთების გატანაში პრეზიდენტი და პირველი ლედი პირადად იყვნენ ჩართულები. როგორც პრეზიდენტის მეუღლემ, სანდრა რულოვსმა განაცხადა, დიდი ნივთები უკვე გატანილია და დარჩა რამოდენიმე ყუთი: **„ჩემი მშობლები ძალიან დამეხმარნენ. აქ იყვნენ ბოლო კვირებში. ახლა უკვე ცოტა დარჩა და ჩვენც გადავდივართ. ინვენტარიზაცია მოხდა. ყველაფერი აღწერილია, რაც სახელმწიფოსია. ცოტა ძნელია, რა თქმა უნდა“.**

პრეზიდენტი, ოჯახთან ერთად, აღნიშნულ სახლში ბოლო წლების განმავლობაში ცხოვრობდა. გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზანდუკელის ქუჩაზე გადადის.

## პატიმრებს 25 ოქტომბრამდე შეიწყალებენ

პატიმართა შეწყალება 25 ოქტომბრამდე განხორციელდება — ამ ინფორმაციას შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი ელენე თევდორაძე ავრცელებს. მისი თქმით, კომისიამ 462 პატიმრის საქმე განიხილა. აქედან 128 პატიმარზე კომისია მთლიანად გათავისუფლების რეკომენდაციას იძლევა, 33 მსჯავრდებულზე კი სასჯელის განახევრების რეკომენდაცია გაიცა. 7 არასრულწლოვანი პატიმრიდან ერთს სასჯელის ოდენობა გაუნახევრდება, ხოლო სამ არასრულწლოვან მსჯავრდებულზე კომისიამ პატიმრობიდან გათავისუფლების რეკომენდაცია გასცა. რაც შეეხება ქალებს, კომისია რვა ქალზე პრეზიდენტს გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართავს, ხოლო ოთხზე — სასჯელის განახევრების წინადადებით: **„ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვთქვით მძიმე მუხლებით მსჯავრდებული პირების შეწყალებაზე, მაგრამ ყველა საქმე მაინც მძიმე იყო, რადგან შეეხებოდა თაღლითობას, ნარკოტიკების შემოტანას, მაგრამ არა გასაღებას. ვისაც ჩვენ ვუწევთ სასჯელის განახევრების რეკომენდაციას, არის უფრო მძიმე ტიპის საქმეები, დანარჩენი საშუალო სიმძიმის საქმეებია. კომისიამ ყაჩაღებს, მკვლელებს, პედოფილებსა და მწამებლებს შეწყალებაზე უარი უთხრა“.**

შეწყალების კომისიაში ციხის ყოფილი თანამშრომლების განაცხადიც შევიდა, რომლებიც პატიმართა წამებისთვის არიან მსჯავრდებულები. ელენე თევდორაძის თქმით, კომისიამ მათ შეწყალებაზე უარი განაცხადა და მათი საქმეები არც განუხილავს.

*„ინტერპრესნიუსი“*

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# 2013 წლის 27 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

**საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი**

## ხმის მიცემის პროცედურები:



- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  **გახსოვდეთ!**
  თუ აღმოჩნდება, რომ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  **გახსოვდეთ!**
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას



- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენის მიღება
- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენი



- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა
- კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, საარჩევნო ყუთთან მდგომი მაგიდიდან აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში
- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში
- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

# აგენტების მხილება თუ უსუსური პროვოკაცია

რუსუდან შელია
557-100-768

ბოლო რამდენიმე კვირაა გაზეთი „ქრონიკა+“ „ქართულ ოცნებაში“ მეგის ქარდავას, სოსო თოფურიძისა და დათა ახალაიას მიერ „ჩანერგილ“ პოლიტიკოსებს „ამხელს“. დავით საგანელიძე, ირაკლი მელაშვილი, არმაზ ახვლედიანი, ზაქარია ქუცნაშვილი, ირინა იმერლიშვილი, ელისო ჩაფიძე — ამ თანმიმდევრობით გაზეთში დასახელებული პოლიტიკოსების ე.წ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან თანამშრომლობის დოკუმენტები ქვეყნდება.

ყველა ჩამოთვლილ დოკუმენტს მკვეთრად აწერია — „საიდუმლო“.

ცილისწამება — ასე შეაფასეს კუდ-ის „აგენტებად“ დასახელებულმა პოლიტიკოსებმა გამოცემის მიერ გამოქვეყნებული მასალები. უმრავლესობის ლიდერმა **დავით საგანელიძემ** გაზეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანა: **„როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მით უმეტეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, არ მაქვს უფლება, თუნდაც ერთ ამომრჩეველს ამ მასალის რეალობის შესახებ ეჭვი დავუტოვო; მეორე მხრივ, თაღლითურ ჯგუფს არ მივცემ შანსს, ქვეყანაში მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია გააგრძელოს. ვაცხადებ, მსგავსი შეხვედრა არ შემდგარა, აღნიშნული ფაქტი მოგონილია, გამოქვეყნებული მასალა კი თავიდან ბოლომდე შეთითხნილი“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას „ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორი **ელისო კილაძე** არ ამხელს, როგორ მოიპოვა ან ვინ გადასცა აღნიშნული მასალები, თუმცა აღნიშნავს, რომ მომავალში, გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს. მისივე განმარტებით, პუბლიკაციაში აღნიშნული ინფორმაციის ყველა დამადასტურებელი დოკუმენტაცია გააჩნია: **„ხელთ მაქვს როგორც სამხედრო პოლიციის დაზვერვის დეპარტამენტის ცნობა, ისე დავით საგანელიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. არც ისე დიდია იმ ადამიანების სია, რომლებიც პოლიტლიდერების გადაბირებაზე ყოფილი დაზვერვის დეპარტამენტში მუშაობდნენ. ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურისგან დაკითხვას დიდი ხანია ვითხოვ, თუმცა ამ უწყებიდან ჩემთვის კითხვები ჯერ არავის დაუსვამს. არადა, ღირებული ინფორმაცია მაქვს, როგორც ვიდეო, ასევე აუდიოჩანაწერების სახით. მიუხედავად ამისა, როგორც გელა ხვედელიძის შემთხვევაში დადასტურდა, უახლოეს მომავალში, ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ რეალურ ფაქტებზე ვსაუბრობ. ჩემი მიზანია, ქვეყანაში სიმართლემ იზეიმოს და ყველას თავისი სახელი დაერქვას“.**

ვის აწყობს „ქართული ოცნების“ ლიდერების კუდ-ის აგენტებად გამოცხადება და გახდება თუ არა გამოქვეყნებული მასალები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მიზეზი?


საიდუმლო.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს

მე, ირინე იმერლიშვილი, დაბადებული 1971წ. 29 იანვარს, პ/ნ 01024003484, თანახმა ვარ კონფიდენციალობის დაცვით, ვითანამშრომლო საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ სამსახურთან და შეძლებისდაგვარად მივაწოდო შესაბამისი ცნობები ოპერატიულად საინტერესო სადაზვერვო ობიექტთა შესახებ. თანახმა ვარ შევასრულო წარმოდგენილი დავალებები და შედეგები მოვახსენო შესაბამის პირებს.

თანხმობას თანამშრომლობის თაობაზე, ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

შსს კონსტიტუციური უ...

მე, ზაქარია ომარის ძე ქუცნაშვილი, ...
01024023012. თანახმა ვარ კონფიდენციალ...
შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების ...
ინფორმაცია ოპერატიულად საინტერესო ...
თანახმა ვარ, შევასრულო თქვენს მ...
სახით მოგაწოდოთ განხორციელებულ ...

თანხმობას თანამშრომლობის შეს...

რატომ არ დაკითხა პროკურატურამ „ღირებული“ ინფორმაციის მატარებელი ელისო კილაძე, წარმოადგენს თუ არა მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები პოლიტიკოსების წინააღმდეგ რეალურ კომპრომატებს ან როგორ აპირებს დავით საგანელიძე სასამართლოში იმის მტკიცებას, რომ კუდ-თან არ თანამშრომლობდა? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხებს „ვერსიასთან“, იურისტი **ლევან ალაფიშვილი** განმარტავს: **„პირველ რიგში, საინტერესოა რა უნდა მოითხოვოს საგანელიძემ სასამართლოსგან ან ამ მოთხოვნის პირობებში, როგორ უნდა დაასაბუთოს, რომ ელისო კილაძემ მას ცილი დასწამა და რეალურად, სპეცსამსახურებთან არ თანამშრომლობდა?! გაუგებარია, ამ შემთხვევაში, დავით საგანელიძეს რა მტკიცებულებები აქვს და რა ტიპის მასალები უნდა წარუდგინოს სასამართლოს? ფაქტია, სასამართლოში სარჩელის შეტანით მან, ტაქტიკურად, არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. შესაძლებელია, ეს ემოციურ ფონზე გააკეთა, რადგან გარედანაც კარგად ჩანდა, რომ ელისო კილაძის მიერ გამოქვეყნებული მასალების შემდეგ, მმართველ გუნდში კოლეგების მიმართ ეჭვებმა და ემოციამ იმატა. რეალურად თუ ვიმსჯელებთ და იურიდიულ პროცედურებსაც გავითვალისწინებთ, სარჩელი შედეგისმომტანი ალბათ არ იქნება. პირიქით, დავით საგანელიძემ სასამართლოში სარჩელის შეტანით ელისო კილაძეს ამ თემით საზოგადოებასთან მანიპულირების საშუალება გაუხანგრძლივა. ფაქტია, როცა უმრავლესობის ლიდერი გიჩივის, საზოგადოებისთვის აქტუალურ პერსონას წარმოადგენ. ერთი სიტყვით, დავით საგანელიძის წყალობით, ელისო კილაძის ეპატაჟური გამოცემები მინიმუმ, ორი-სამი თვის განმავლობაში ანუ სასამართლო პროცესის პარალელურად, აქტუალობას არ დაკარგავს“.**

რაც შეეხება გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, ლევან ალაფიშვილი ფიქრობს, რომ რამდენიმე მარტივი დეტალის განხილვის შემდეგ, მათი რეალურობა ეჭვქვეშ დგება. კერძოდ, მისი განცხადებით,

**თანამშრომლობის შესახებ მსგავსი შინაარსის ტექსტს თავად „აგენტები“ წერენ და კომპიუტერში ამობეჭდილ ტექსტზე ხელმოწერა საკმარისი არ არის. ამასთან, გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს კი აწერია „საიდუმლო“, მაგრამ პუბლიკაციის მიხედვით არ კონკრეტდება, სახელმწიფო საიდუმლოების მასალებთან გვაქვს საქმე თუ სხვა ტიპის მნიშვნელოვან დოკუმენტთან.**

ლევან ალაფიშვილი ელისო კილაძის მოთხოვნას საქმის აღძვრის თაობაზე, უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რადგან ამ ეტაპზე, პროკურატურის მხრიდან საქმის აღძვრის რეალური საფუძველი იურიდიულად არ არსებობს. შესაბამისად, გაზეთის მთავარ რედაქტორსაც არავინ დაკითხავს და ეს მანაც კარგად იცის: **„ელისო კილაძის მიერ გამოქვეყნებული მასალები შინაარსობრივად არაფერს ადასტურებს. თანაც კომპიუტერში აკრეფილ მასალაზე კონკრეტული პოლიტიკოსების ხელმოწერის დადება რთული ნამდვილად არ არის. მასალები იდენტიფიკაციის საშუალებასაც არ იძლევა, შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი პროცედურების წარმოებაც შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოძიების პროცესში არავინ დაიკითხება და ვფიქრობ, ეს კილაძემაც კარგად იცის. უბრალოდ, ამ განცხადებით კიდევ ერთხელ ცდილობს საზოგადოების ყურადღების ცენტრში დარჩენას.**

**ჩანს, გაზეთის რედაქტორს ჭკვიანი მრჩეველი ჰყავს, რადგან გამოქვეყნებული დოკუმენტებიც საკმაოდ ოსტატურადაა შექმნილი — მასალები ორიგინალი არ არის. მეტიც, არავინ იცის, კილაძემ ასლის მერამდენე ასლი გამოაქვეყნა. აქედან გამომდინარე, ექსპერტიზა ვერ დაადგენს, სად ამოიბეჭდა ან ვინ დაბეჭდა ტექსტი, ხელმოწერის გადამოწმებაც შეუძლებელია. შესაძლოა, საგანელიძის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე დაწყებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, საქმეში სხვა გარემოებებიც გამოიკვეთოს. პირადად ჩემთვის, ეს ნაკლებსავარაუდოა, თუმცა ამ ეტაპზე, ცალსახად შეიძლება თქმა, რომ მხოლოდ ეპატაჟურ ნაბიჯთან გვაქვს საქმე. ვიმეორებ, თუ ყველა დეტალს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეს ყველაფერი საკმაოდ უსუსური პროვოკაციაა, რომელზეც, სამწუხაროდ, რამდენიმე პოლიტიკოსი წამოეგო. ისიც სამწუხაროა, რომ საზოგადოებამ დაიჯერა დოკუმენტებზე დატანებული წარწერა — „საიდუმლო“. აქ არაა განმარტებული, რა ტიპის საიდუმლოზეა საუბარი. სპეცსამსახურის ნებისმიერი თანამშრომელი გეტყვით, რომ აღნიშნული დეტალი საიდუმლო დოკუმენტებზე სრულადაა განმარტებული.**

დასასრული მე-6 გვერდზე

პოზიცია

# ვალერი ხაბურძანია: „არ გამოვრიცხავ, ინფორმაცია აგენტების შესახებ, სატყუარად დატოვეს ნაციონალებმა სამართალდამცავ სტრუქტურებში“

დავით დევიძე
593-219-042

**„ოცნებაში“ ჩანერგილი კუდ-ის აგენტების შესახებ ინფორმაციები ბოლო დროს ხშირად ვრცელდება. ერთი შეხედვით, ვინმეს აგენტობა წარმოუდგენელი სულაც არაა. მეორე მხრივ, თუ მართლა აგენტები არიან, ვის დაჭირდა მათი გაშიფვრა მაინცდამაინც დღეს? კუდ-ი და სოდ-ი რომ თავის აგენტებს არ გაშიფრავს, ეს ნათელია — აგენტი იმან უნდა გაშიფროს, ვისაც ჩაუნერგეს. ამ შემთხვევაში — „ოცნებამ“, რომელიც საერთოდ არაფერს ამბობს. მოკლედ, ვერ გაიგებ, ვისი აგენტი ვის პარტიაშია, მაგრამ ფაქტია, ვიღაც ცდილობს, კუდი-ანებზე ნადირობის სეზონის გახსნას. უშიშროების ექსმინისტრი ვალერი ხაბურძანია არ გამორიცხავს, რომ საქმე მიხეილ სააკაშვილის მიერ დატოვებულ დეზინფორმაციასთან გვქონდეს.**



— ამ ხელწერილების ქსეროასლების არ მჯერა. დღეს ტექნიკა ისეა განვითარებული, ყველაფერი შეიძლება დაამონტაჟო. ზოგადად, როცა ასეთი ხელწერილები კეთდება, მაქსიმალურად ცდილობენ, ხელით ნაწერი იყოს, რადგან შემდეგისთვის ეს შეიძლება აღმოჩნდეს ამ პირის იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალება. ეს ვერ დავინახე. თან, ისეთი ფორმითაა ყველაფერი მოწოდებული, არ გამოვრიცხავ, სატყუარას სახით დატოვეს ნაციონალებმა სამართალდამცავ სტრუქტურებში — ხელისუფლებიდან რომ წავიდოდნენ, ვითომ შემდეგ გაშიფრულიყო აგენტები. ყველაზე მეტად გამიკვირდა საზოგადოების რეაქცია. ხალხი აღშფოთდა, რომ ვიღაც იყო თუ არის აგენტი, იმაზე კი არავინ ამოიღო ხმა, რომ ნაციონალური მოძრაობა პარტიებთან ამ ფორმით მუშაობას ბედავდა. თანაც ამას აკეთებდა არა მარტო კუდ-ი და სოდ-ი, არამედ, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დაზვერვის დანაყოფიც. ეს კიდევ ერთი დიდი უბედურებაა.

**— ამ ფონზე, რა გასაკვირია, რომ „ოცნებაში“ ჩანერგილი აგენტების რიცხვი დიდი იყოს?**

— არ გამოვრიცხავ, ჰყავდეთ აგენტები ჩანერგილი... ალბათ ეყოლებათ.

**— რა მისია აკისრია ამ ხალხს და რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ აგენტები პარტიისთვის?**

— მისია ბევრი არაფერი, ალბათ, შიდაპარტიული სამზარეულო გამოაქვთ. სიმართლე გითხრათ, როცა მე ვმუშაობდი, ჩემთან ყველაზე სუსტი იყო ე.წ. კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახური. კონსტიტუცია კრძალავდა პარტიებზე მუშაობას. ჩემს დროს ასეთი რამ არ ხდებოდა და სკანდალიც ატყდა, ჯუმბერ პატიაშვილმა დოკუმენტები რომ გამოიტანა ჩემი სამინისტროდან, მაგრამ მათზე ჩემი ხელმოწერა არ იყო. ხელი ზუსტად იმიტომ არ მოვაწერე, რომ ასეთ საქმეში არ ვიყავი გარეული. საერთოდ, აზრი არ აქვს პარტიებზე მუშაობას — ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ უნდა გაიგოს: ამ ტიპის საქმიანობა შედეგს არ იძლევა! ვერც ნაციონალურ მოძრაობას მისცა შედეგი. ფარული საქმიანობა სხვა პარტიებში, გარდა იმისა, რომ ვიწროპარტიულ ჭორებს იღებენ, არაფრისმომცემია.

**— ზოგი, ვისაც აგენტობა დასწამეს, ხმას საერთოდ არ იღებს. დუმილი თანხმობის ნიშანია და გასაპროტესტებელი არაფერი აქვთ?**

— ეტყობა, ზოგი არასერიოზულად მიიჩნევს პასუხის გაცემას. ამტკიცო, „არ ვარ, ბატონო, ის კაცი“, ალბათ ძალიან ძნელია...

კახა მაისურაძე

# გოგა ხაინდრავა: „არჩევნების მეორე ტურის გამართვის შანსი არ არსებობს!“



**საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. გამოცდილი ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები წინასწარ ჭვრეტენ მის შედეგებს. უმრავლესობა პროგნოზირებს, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს, პირველ ტურში ხმების იმ რაოდენობას მიიღებს, რომელიც მის გასაპრეზიდენტებლად საკმარისი იქნება და არჩევნების მეორე ტურზე საუბარიც კი არასერიოზულია. ამ ვარაუდს ამყარებს არაერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, მარგველაშვილი პირველ ტურში იმარჯვებს, მისი ყველაზე ანგარიშგასაწევი კონკურენტები კი, 20%-იან რეიტინგსაც ვერ უახლოვდებიან.**
**კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებსა და საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებზე გვესაუბრება.**

**— ბატონი გოგა, ყველა კვლევის თანახმად, საპრეზიდენტო მარათონში გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. საზოგადოების განწყობაც იმის დასტურია, რომ მას არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვის მისცენ ხმა. ამ კატეგორიის ამომრჩეველს რას ეტყვით — ვის და რატომ უნდა დაუჭირონ მხარი?**

— „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გამორჩეულია სხვა კანდიდატებს შორის. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, ის არის პირველი დამოუკიდებელი კანდიდატი — დამოუკიდებელია პოლიტიკური კონიუნქტურისგან და არ არის არც ერთი პარტიის წევრი. სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია მძიმე პოლიტიკური წარსული. ის არის ინტელექტუალი, თვითრეალიზებული, წარმატებული კაცი, რომელმაც დღემდე პატიოსნად იცხოვრა და საზოგადოებას თავი დაამახსოვრა, როგორც წესიერმა, პრინციპულმა პიროვნებამ. ეს არის ადამიანი, რომელიც როცა პრეზიდენტი გახდება, ხალხს ემსახურება და არა — იმსახურებს ხალხს. დღემდე ხომ ასე იყო — ხალხი იყო ყველა პრეზიდენტის მსახური. ეს სიმახინჯე, ხალხის აბუჩად აგდება ამ არჩევნების შემდეგ დასრულდება. გიორგი მარგველაშვილი აბსოლუტურად ახალი ტიპის მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში და მისი გაპრეზიდენტება იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველოში დასრულდება საბჭოური ტიპის პოლიტიკისა და საბჭოური აზროვნების ეპოქა. ეს ყველაფერი, ვფიქრობ, საკმარისზე მეტი არგუმენტია იმისთვის, რომ 27 ოქტომბერს ხალხმა გიორგი მარგველაშვილს მისცეს ხმა.

**— საბჭოური ტიპის პოლიტიკის დასასრულში, კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— ბელადებსა და მესიებზე ჩამოკიდებულ პოლიტიკას... ამგვარმა პოლიტიკამ უდიდესი ვნება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. გიორგი მარგველაშვილი კი არ არის მესია, იგი თანამედროვე, მაღალინტელექტუალი, თავისუფალი პოლიტიკოსია.

**— გიორგი მარგველაშვილს სუფთა პოლიტიკურ წარსულსა და იმ ფაქტს, რომ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა დღემდე არ ყოფილა, „ნაციონალები“ ნაკლად უთვლიან — პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნიაო, ამბობენ.**

— ქართული პოლიტიკა, საბჭოური პოლიტიკა იყო, თავისი ყველა ნაკლითა და სიმახინჯით. ცხადია, ყველა ქართველ პოლიტიკოსს, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, ეს ნაკლი ჰქონდა. სხვა, საბჭოური მენტალიტეტისგან თავისუფალი პოლიტიკოსები საქართველოში, უბრალოდ, არ არსებობდნენ. ის, რაც ჩვენ ვიცით და რაც პოლიტიკურ გამოცდილებად მიიჩნევა, ძალიან მძიმე ტვირთია. მადლობა ღმერთს, გიორგი მარგველაშვილი ამ ტვირთისა და, შესაბამისად, მანკიერებებისგან თავისუფალია! ეს მისი დადებითი მხარეა და არა უარყოფითი. საქართველოში ბოლო 20-წლიანმა პერიოდმა აჩვენა, რომ ყველა ლიდერი, რომლებიც დღემდე აქტიურად არიან ქართულ პოლიტიკაში, ატარებენ წარსულის ამ მძიმე ტვირთს — ტვირთს, რომელიც სავსეა მანკიერი ხედვებით, არაჯანსაღი მენტალიტეტით, წარსულის შეცდომებითა და დანაშაულებით, სხვა უმძიმესი პოლიტიკური ცოდვებით... მარგველაშვილი ამ ყველაფრისგან რომ თავისუფალია და მის წარსულში ეს „შავი ლაქები“ არ არსებობს, როგორ შეიძლება ნორმალურ ადამიანს მის ნაკლად მიაჩნდეს?

**— გაუძლებს გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის უდიდეს პასუხისმგებლობას, მზად არის, ასეთი მძიმე ტვირთის საკუთარ თავზე ასაღებად?**

— გიორგი ამ პასუხისმგებლობას გაუძლებს. იმ ფორმით, როგორითაც დღესაა წარმოდგენილი პრეზიდენტის ინსტიტუტი, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები მარგველაშვილის პიროვნულ თვისებებს სწორედ რომ მიესადაგება. ახალი პრეზიდენტი არ იქნება განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე, ფაქტობრივად, მონარქი, როგორც დღემდე იყო, ის პასუხს აგებს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, პრემიერ-მინისტრთან ერთად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და მასთან ერთად განახორციელებს მას, იქნება კონსტიტუციის დამცველი. ასევე, დამბალანსებელი, გამწონასწორებელი ფიგურა სხვადასხვა სახელისუფლო შტოს შორის. ეს მედიატორის ფუნქცია კი, ვფიქრობ, როგორც არავის, ისე მიესადაგება გიორგი მარგველაშვილს. ცოდნა და კომპეტენცია არ აკლია, რომ რაც ჩამოვთვალე, ის მოვალეობები ღირსეულად შეასრულოს. მართალია, გიორგი აქტიური პოლიტიკოსი არ ყოფილა, თუ არ ჩავუთვლით განათლების მინისტრად მუშაობის მცირე პერიოდს, მაგრამ პოლიტიკასთან მუდამ ახლოს იყო, მართებულად და პირუთვნელად აანალიზებდა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს.

**— საზოგადოების დიდი მოთხოვნაა პოლიტიკური კოჰაბიტაციის დასრულება „ნაცმოძრაობასთან“. გიორგი მარგველაშვილი ხალხს ჰპირდება, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, კოჰაბიტაცია დასრულდება. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ამის გაკეთებას, თუ გარეშე და სხვა ფაქტორების გამო, ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება?**

— კოჰაბიტაცია იყო სამწუხარო, მძიმე, მაგრამ საჭირო გამოცდილება საქართველოსთვის. ამ პროცესის დასასრული უკვე დაწყებულია ქვეყანაში და 27 სექტემბერს ეს თემა საბოლოოდ დაიხურება. გიორგი მარგველაშვილი ამ დაპირებას შეასრულებს და კოჰაბიტაციის დამთავრებას ხელს ვერაფერი შეუშლის.

**— რა შანსი აქვთ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს საიმისოდ, რომ გიორგი მარგველაშვილმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვოს და არჩევნების მეორე ტური გაიმართოს? ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე დიდი ხანია აცხადებენ, რომ არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია. ცხადია, ორივე კანდიდატი საკუთარ თავს ხედავს მარგველაშვილთან ერთად.**

— რა შანსი? რას ამბობთ? მეორე ტური არ გაიმართება და ამის შანსი საერთოდ არ არსებობს. ვინც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს, მათგან ვერც ერთი ვერ მივა ახლოს გიორგი მარგველაშვილთან პოლიტიკური ხედვებითა თუ წმინდა ადამიანური თვისებებით.

**— მაგრამ მას გამოცდილი პოლიტიკოსები უწევენ კონკურენციას.**

— მათ პოლიტიკურ გამოცდილებაზე უკვე მოგახსენეთ. ეს არის ტვირთი — მძიმე და ხშირ შემთხვევაში, სამარცხვინო — აი, ეგ არის მაგათი პოლიტიკური გამოცდილება. არა მგონია, საქართველოში იყვნენ ადამიანები, ვისაც საბჭოთა კავშირში უნდოდა დაბრუნება. ძლივს გამოვაღწიეთ იქიდან. გიორგი მარგველაშვილის ყველა მოწინააღმდეგე საბჭოთა აზროვნებისაა, ყველა საბჭოური ყაიდის პოლიტიკური მმართველობის მოტრფიალეა. ჩემი აზრით, მარგველაშვილის ყველაზე სოლიდური კონკურენტები ამ არჩევნებზე ხმების 12-14%-ზე მეტს ვერ აიღებენ. აი, ეს გახლავთ მათი რეალური შანსი ამ არჩევნებზე

**— ზოგიერთები გიორგი მარგველაშვილს ნაკლად იმას უთვლიან, რომ აქტიურად უჭერს მხარს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. ამბობენ, მისი მხარდაჭერის გარეშე „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებსო.**

— გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ კანდიდატია. ამ კოალიციის ლიდერია ბიძინა ივანიშვილი და რა ქნას, საკუთარი გაერთიანების კანდიდატს არ დაუჭიროს მხარი, სხვას მიემხროს? ცხადია, პრემიერ-მინისტრი და კოალიციის სხვა ლიდერები მარგველაშვილის სასარგებლოდ მუშაობენ და ეს ბუნებრივიცაა. ბიძინა ივანიშვილის ისევე, როგორც მთელი კოალიციის წინასაარჩევნო აქტიურობა მარგველაშვილის სასარგებლოდ, რა თქმა უნდა, არჩევნების დღეს მათი კანდიდატის შედეგებზე აისახება. სწორედ ასეთი რომ იყო — გამორჩეული, პატიოსანი, სუფთა წარსულის ადამიანი, ივანიშვილმა ამიტომაც დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას და ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუ მისი აქტიურობა მარგველაშვილს ხმებს მოუტანს. ბიძინა ივანიშვილმა არჩევანი გიორგი მარგველაშვილზე, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატზე შეაჩერა და ეს იმის დასტურია, რომ ენდობა. მან ამ გადაწყვეტილებით მეტად სერიოზული პასუხისმგებლობა იტვირთა. არ უნდა დაგვავიწყდეს — გიორგი მარგველაშვილი არის მომავლის და არა აწმყოს პოლიტიკოსი. სწორედ ესაა მისი მომხიბვლელობა. ეს არის მშვიდი, დინჯი ადამიანი, რომლისგანაც უსიამოვნო სიურპრიზებს, რაღაც თავქარიან საქციელს არ უნდა ველოდეთ. იგი არ არის ზეკაცი და მესია. გიორგი არის საზოგადოების აქტიური და წარმატებული წარმომადგენელი, რომელიც მზადაა, საკუთარ თავზე აიღოს პრეზიდენტის დიდი პასუხისმგებლობა და ღირსეულად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა — იყოს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების მსახური.

## ვერსიანიუსი

### საქართველოს საპრეზიდენტო კამპანიაში რუსეთი ყველაზე საკამათო თემაა




Deutsche Welle-ის რუსული გამოცემა საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ ამალია ოგაჯანიანისა და ნიკიტა ჟოლკვერის სტატიას აქვეყნებს სათაურით: **„რუსეთი ყველაზე საკამათო თემაა საქართველოს საპრეზიდენტო კამპანიაში“.** როგორც სტატიაშია ნათქვამი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირთან დაახლოების მთავრობისეულ კურსს. რუსეთთან ურთიერთობა კი საკამათო თემად იქცა წინასაარჩევნო რბოლაში. საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი თემები რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და მოახლოებული ვილნიუსის სამიტია, სადაც საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას გეგმავს. სტატიის ავტორები ციტირებენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ბერლინში ყოფნისას გაკეთებულ კომენტარს: **„ვილნიუსის სამიტი ყველას პირზე აკერია. ვილნიუსი ევროპასთან, პროგრესთან და ჩვენი ქვეყნის წარმატებასთან ასოცირდება“.**

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ საპრეზიდენტო კამპანიის ყველაზე საკამათო თემა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაა. **„მაია ფანჯიკიძე ამ სფეროში გარკვეულ პროგრესსა და საგარეო პოლიტიკის ორ მიმართულებაზე საუბრობს. ერთი – რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს ახალი სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობაა, მეორე კი ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი. ამასთან, საქართველოსთვის არსებობს ე.წ. წითელი ხაზები – ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, მათი დამოუკიდებლობის არაღიარება და საქართველოს თავისუფალი არჩევანის ნება შეუერთდეს ამა თუ იმ ალიანსს“.**

Deutsche Welle ასევე ციტირებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კომენტარს, რომელმაც განაცხადა, რომ განიხილება ყველაფერი, რაც ამ „წითელ ხაზებს“ მიღმაა და ეს ეხება სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებს. მაია ფანჯიკიძის თქმით კი: **„სამწუხაროდ, ჩვენი იმედი, რუსეთთან ასეთი ორმხრივი კავშირების გაუმჯობესება პოზიტიურად აისახებოდა პოლიტიკურ ურთიერთობაზეც, არ გამართლდა. შეიძლება საპირისპიროზეც კი ვისაუბროთ. უახლოეს ხანში ჩვენ არ ველით რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ჟენევის მოლაპარაკებებზე პროგრესსა და ვითარების განმუხტვას ვილნიუსის სამიტამდე და სოჭის ოლიმპიურ თამაშებამდე, მაგრამ მომავალშიც გავაგრძელებთ სამშვიდობო პოლიტიკას და რუსეთის მხრიდან პროვოკაციას პანიკის გარეშე ვუპასუხებთ“.** სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ოპოზიციაც, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებას უპრინციპობისთვის აკრიტიკებს და მოსკოვთან უფრო ხისტი დიალოგისკენ მოუწოდებს. **„რაც მეტს დაუთმობ რუსეთს, მით მეტს წაგართმევს. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება მეც მინდა, მაგრამ არა საქართველოს ინტერესების ხარჯზე და არც იმის ხარჯზე, რომ ეჭვქვეშ დადგეს ასობით ადამიანის უფლება დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში და იცხოვრონ თავიანთ ქვეყანაში“,** – ციტირებს გამოცემა დავით ბაქრაძის კომენტარს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ჩინეთის ახალი გეგმა ამერიკის „ჩასაჩოჩებლად“

მირიან ლეჟანიძე
5-77-41-38-41

ამერიკაში საბიუჯეტო კრიზისის დროს ჩინეთმა კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია. მან სარეზერვო ვალუტად იუანის გარდაქმნის გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგა და ევროპის ცენტრალურ ბანკთან 3-წლიანი სვოპ-ხაზი აამოქმედა (ორი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს შორის ურთიერთობის ფორმა, როცა ფულს „შუამავალი“ ვალუტის დაუხმარებლად და ფიქსირებული კურსით ცვლიან და აკრედიტებენ). ივნისში პეკინმა ანალოგიური ხელშეკრულება ლონდონთანაც დადო.

ბოლო დროს სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება დილემის წინაშე დადგა: შეინარჩუნოს იუანის კურსი თუ აწიოს? ერთი შეხედვით, სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს იუანის გამყარება უნდა აწყობდეს, მაგრამ იგი გამუდმებით მისი დაბალი კურსის შენარჩუნებას ცდილობს. როგორც „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერს, დაბალი კურსის წყალობით, ჩინური პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე დაბალ ფასს ინარჩუნებს. ეს კი, ევროპული და ამერიკული ბიზნესსექტორის შეშფოთებას იწვევს, რადგან ჩინური საქონლისთვის კონკურენციის გაწევა უჭირთ. პეკინი იძულებული გახდა, იუანის კურსი დოლართან მიმართებაში ოდნავ აეწია. ამ ცნობამ ამერიკის ფინანსთა მინისტრი აღაფრთოვანა და განაცხადა, მივესალმები, თუ პეკინი თავის ვალუტას თავისუფლებას მიანიჭებსო. მიზეზი ისაა, რომ იუანის გამყარება ჩინური საქონლის გაძვირებას მოასწავებს.

სექტემბრის მონაცემებით, იუანს მსოფლიოს ვალუტების რეიტინგში მე-9 ადგილი ეჭირა. მან ამ პოზიციაზე პირველად გაუსწრო რუსულ რუბლს. უკანასკნელ სამ წელიწადში იუანმა პოზიციები გაიორკეცა და მსოფლიო ბაზარს უფრო და უფრო სწრაფად ითვისებს. პეკინმა იუანის კონვერტირებად ვალუტად გარდაქმნისთვის ბრძოლა 2008 წლის კრიზისის შემდეგ დაიწყო და დღეს სვოპ-ხაზი 20-ზე ქვეყანასთან მოქმედებს.

## 2015 წლისთვის იუანი დოლარს მნიშვნელოვნად შეავიწროვებს



თუმცა, იუანს ჯერჯერობით, საკმაოდ მოკრძალებული პოზიციები აქვს. დოლარს საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ბრუნვის 87% უკავია, ხოლო იუანს — 2,2%.

შტატების ეკონომიკური კრიზისისა და ჩინეთის 7,8%-იანი ზრდის ფონზე, პეკინში იმედი აქვთ, რომ 2015 წლისთვის მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ღირსეულ პოზიციებს დაიკავებენ და დოლარს მნიშვნელოვნად შეავიწროებენ. ჩინეთის სამთავრობო საინფორმაციო სააგენტო „სინხუა“ მსოფლიოს ღიად მოუწოდებს, რომ გლობალური ფინანსური სისტემის დეამერიკანიზაციისა და ბაზარზე ახალი სარეზერვო ვალუტის შემოსვლის დრო დადგა. **„რა თქმა უნდა, ცხადია, ეს პროპაგანდის ნაწილია, მაგრამ ამასთანავე, ესაა ჩინეთის ხელისუფლების ხანგრძლივვადიანი პერსპექტივის ნაწილიც, რომელიც ცდილობს მსოფლიოში იუანის გამყარებას“,** — აცხადებს საკონსულტაციო კომპანია Longview Economics-ის ხელმძღვანელი კრის ფუტლინგი. მისი აზრით, ამერიკაში განვითარებული საბიუჯეტო კრიზისი ამერიკის ეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის და ნეგატიურად აისახება დოლარის სტატუსზე. **„კრიზისი ამერიკის ხელისუფლების წარუმატებელი ქმედებების შედეგი და მაგალითია. თუ მას პერსპექტივაში განვიხილავთ, დავინახავთ დოლარის მერყეობას საერთაშორისო სავალუტო რეზერვის სტატუსში. საუბარი არ არის რამდენიმე კვირაზე, ეს არის პროცესი, რომელიც წლებია მიმდინარეობს და კიდევ გაგრძელდება“.**

CNBC-სთან ინტერვიუში პასკალ ლამიმ, რომელიც 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, თითქმის დაადასტურა, რომ მსოფლიო ეკონომიკა საჭიროებს დაბალანსებულ ფინანსურ სისტემას, რომელიც აღარ იქნება ასე დამოკიდებული ამერიკის ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებსა და ამერიკულ დოლარზე. დროთა განმავლობაში იუანი დოლარს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. მან ასევე განაცხადა, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში ამერიკა დაკარგავს მსოფლიოში დომინანტის მდგომარეობას: **„მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისებმა, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკას სერიოზული ნეგატიური შედეგები მოუტანოს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკა ამ ეტაპზე მეტად დაუცველია ამერიკის პრობლემების წინაშე. ჩინეთი აქტიურად ამყარებს ორმხრივ სავალუტო მოლაპარაკებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან“.**

დოლარის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ იგი თავის სტატუსს ხელოვნურად ინარჩუნებს. დოლარი მსოფლიოს მთავარი კონვერტირებადი ვალუტა გასული საუკუნის შუა ხანებში გახდა. მაშინ შეიქმნა მსოფლიო სავალუტო ფონდიც და დადგინდა, რომ 1 დოლარი 35 უნცია ოქროს უნდა გაემყარებინა, თუმცა 1971 წელს ამერიკამ ოფიციალურად განაცხადა უარი ამ კურსის შენარჩუნებაზე. მას შემდეგ, დოლარი მთავარი საერთაშორისო ვალუტის სტატუსს მხოლოდ შტატების ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერით ინარჩუნებს. იუანთან შედარებით, დოლარის სუსტი მხარე არა მარტო ჩინეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკაა, არამედ ისიც, რომ პეკინი ასევე ელვისებური ტემპებით აგროვებს ოქროს მარაგს. 2009 წელს ჩინეთმა ოქროს მარაგის შესახებ მონაცემები გაასაჯაროვა: 1054 ტონა. დასავლეთში მაშინვე დაეჭვდნენ, რომ სინამდვილეში, პეკინს 2-3-ჯერ მეტი რეზერვი უნდა ჰქონდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩინეთი წელიწადში 350 ტონას მოიპოვებს. სახალხო რესპუბლიკიდან ოქროს გატანა აკრძალულია და აშკარაა, რომ მის მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონის უდიდესი ნაწილი რეზერვში მიდის. ამას ემატება ოქროს იმპორტიც. 2011-2012 წლებში ჰონგკონგიდან ჩინეთში 950 ტონა ძვირფასი ლითონი შევიდა. ჩინეთი ოქროს დიდი ოდენობით ყიდულობს ლონდონის საერთაშორისო ბაზრიდანაც. წელს იმპორტის მოცულობა უფრო გაიზარდა და პირველი 6 თვის მონაცემებით, 1200 ტონას მიაღწია. უკანასკნელ სამ თვეში მისმა ოქროს რეზერვმა 163 მლრდ დოლარი შეადგინა. Financial Times გათვლებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩინეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 20%-ით გაიზარდა, უცნობი რჩება პეკინმა საიდან დააგროვა 100 მლრდ დოლარის მარაგი.

მსოფლიო ბაზარზე აქტიური მოქმედებისა და ოქროს რეზერვების ზრდის გამო არსებობს ვარაუდი, რომ ჩინეთი იუანის ძვირფასი ლითონით გამყარებას მოისურვებს. ამ შემთხვევაში, იუანზე მსოფლიოში მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება, ხოლო დოლარის — შემცირდება. ექსპერტების უხეში გათვლებით, დოლარის მარაგის ნახევარი შტატების საზღვრებს გარეთაა. საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის მთავარი პოზიციის დათმობა გამოიწვევს დოლარის „სამშობლოში დაბრუნებას“, რაც თავის მხრივ, მის ინფლაციასაც მოასწავებს.

დასავლეთში ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩინეთის გეგმები დოლარის პოზიციების შერყევასთან დაკავშირებით არა იმდენად იდეოლოგიური და პოლიტიკური, არამედ პრაქტიკული და ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობს. ჩინეთის სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი დოლარებშია და პეკინი საკუთარი ეკონომიკის დაცვაზე ფიქრობს.

შავ-ბნელი პროგნოზების მიუხედავად, დღეს მსოფლიოში არავის სჯერა, რომ ამერიკა პოზიციებს ადვილად დათმობს. როგორც Forbes-ის რუსული გამოცემა ნახევრად ხუმრობით წერს: **„ამერიკელი პოლიტიკოსები დოლარისადმი ნდობის დასაკარგად ყველაფერს აკეთებენ, ამ ამოცანის შესრულების ძალა მათაც კი არ შესწევთ“.**



## ISAF-ის მონაწილე ქართველმა სამხედროებმა არჩევანი უკვე გააკეთეს

ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართველმა სამხედროებმა საკუთარი არჩევანი უკვე გააკეთეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საარჩევნო უბნები ქართველი ჯარისკაცებისთვის ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ და ამერიკულ ბაზებზე მოეწყო.

ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტისთვის სპეციალური საარჩევნო უბნების მოწყობა საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავდაცვის უწყების ხელშეწყობით უზრუნველყო.

ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა ხმა ორ საარჩევნო უბანზე — „ლეზერნიკსა“ და „ერედვზე“ მისცეს. საარჩევნო უბნების გარდა, არსებობდა ორი გადასატანი ყუთი. მათი გადატანა, საარჩევნო კოდექსის თანახმად, დროულად მოხდა ბაზების „ფაიზელისა“ და „პალაციოს“ მიმართულებით. გადაადგილება განხორციელდა ჯავშანმანქანა ჯლ-ისგან შემდგარი კონვოით. ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით, კოლონის უსაფრთხოებას ჰაერიდან საბრძოლო ვერტმფრენები იცავდნენ. საარჩევნო პროცესმა ბაზებზე მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

ავღანეთში, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში 1500-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. ავღანეთში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

დღეისთვის, ISAF-ის მისიაში, ჰელმანდის პროვინციაში, მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი მონაწილეობს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# აგენტების მხილება თუ უსუსური პროვოკაცია

*მე-4 გვერდიდან*

**ეს იმის ბრალია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა იურიდიულ წიაღსვლებში ჩახედული არ არის“.**

და მაინც, რეალურად, რა მიზანი აქვს „ქართული ოცნების“ ლიდერების წინააღმდეგ მსგავსი მასალების გამოქვეყნებას და ახლა რატომ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში კუდ-ის 32 აგენტია? ლევან ალაფიშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ამ ინფორმაციის გავრცელებაში იმ პოლიტიკოსების ხელიც ურევია, რომლებსაც საზოგადოების წინაშე „აგენტად“ გამოცხადებული უმრავლესობის დაშლისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის სურვილი აქვთ. მეტიც, მისი განცხადებით, შესაძლოა, პროცესი, „ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრის მიერაა ინსპირირებული: **„ჩანს, ელისო კილაძემ სწორად დაინახა პროცესი, რაც მმართველი გუნდის შიგნით და პარალელურად, საზოგადოებაშიც მიმდინარეობს და იმასაც მიხვდა, რომ ამ თემით თამაში შესაძლებელია, თუმცა იმასაც არ გამოვრიცხავ, კილაძის ეპატაჟი პოლიტიკოსების ინტერესის ნაწილი იყოს; მეტიც — შესაძლოა, ეს „ქართულ ოცნებაშიც“ კი მომზადდა უმრავლესობის დასაშლელად და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად. შიდადაპირისპირების შესახებ ერთ მაგალითს გავიხსენებ: წლების წინ, ძმები ბერძენიშვილების აგენტად გამოცხადება სწორედ გუნდის შიგნით მოფიქრებული იყო, რაზეც საზოგადოება დღესაც საუბრობს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას იურისტი ლევან ალაფიშვილი პარალელს წარსულთანაც ავლებს და 90-იანი წლების დასაწყისს იხსენებს, როცა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, სმოლენსკიდან საგანგებოდ ჩამოტანილი არქივი მიიღო. არქივში არსებული დოკუმენტების მიხედვით, პრეზიდენტის 11 თანაგუნდელის რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა დასტურდებოდა, თუმცა არც ერთი მათგანი დასჯილა. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, პოლიტიკურ სპექტრში ტერმინი სუკის აგენტი კუდ-ის აგენტმა ჩაანაცვლა, საქართველოს კანონმდებლობა კი დღესაც არ ითვალისწინებს სპეცსამსახურების აგენტების ლუსტრაციას. კითხვაზე, არსებობს თუ არა მსგავსი თემებით სპეკულირების უნივერსალური საშუალება, ალაფიშვილი პასუხობს, რომ არ არსებობს, რადგან ლუსტრაციის კანონის მიღების შემთხვევაშიც კი, აგენტების გაშიფვრა შეუძლებელია:

**„საქართველოში დიდი ხანია მსგავსი თემებით სპეკულირება ხდება. ჩანს, პოლიტიკური პროცესი მსგავს რაღაცებს იტანს. ლუსტრაციის კანონი კი მხოლოდ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ითვალისწინებს, მაგრამ მისი მიღების შემთხვევაშიც კი, რეალურად გვექნება კანონი, რომელიც ვერ იმუშავებს. ისევ ძმებ ბერძენიშვილების აგენტობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გავიხსენებ... ამის შემოწმების მექანიზმი არ არსებობს. არქივმა, რომელშიც მსგავსი ინფორმაციები ინახება, უამრავი ადამიანის ხელში გაიარა და, ბუნებრივია, დოკუმენტებს პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. რეალურად, დოკუმენტებზე წვდომა არ არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსგავსი თემებით სპეკულირება მომავალშიც უხვად გველოდება“.**

# წყალწყალა კლიპები – ბევრი „მე“ და მოუქნელი ქართული










რეზო შატაკიშვილი

მარგველაშვილი გვეუბნება – „ერთად განვაგრძოთ წინსვლა“, ბაქრაძე გვთავაზობს – „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა“, ბურჯანაძე გვპირდება – „სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის“. რას „უამბობს“ საზოგადოებას მათი ეს სლოგანები, საარჩევნო კლიპები? ბევრს რომ „უამბობს“, ფაქტია – არ მითქვამს, რომ ბევრის მთქმელია, მრავლისმთქმელია. სწორედაც რომ, დიდი არაფრის მთქმელია ამ არჩევნებზე გამოფენილი კლიპები თუ პლაკატ-ბილბორდები. უბრალოდ – კლიპები საგანგაშოდ უხვტექსტიანია. იმდენი ტექსტია – იმდენს ლაპარაკობენ, ამომრჩეველს ტვინი აელუფხება. თან რა ენაზე გველაპარაკებიან? მოუქნელი ქართულით. არადა, არასდროს არაა ისე საჭირო, როგორც არჩევნებზე – ამომრჩეველს მესიჯი მიაწოდო მოქნილი ქართულით, მკაფიოდ. სათქმელი უნდა იყოს გასაგები, არ უნდა ექვემდებარებოდეს ათასგვარ ინტერპრეტაციას და არ უნდა საჭიროებდეს იოანე ოქროპირებს – განმმარტებლებად.

**რას გვეუბნება მარგველაშვილის სლოგანი „ერთად განვაგრძოთ წინსვლა“?**

რომელი წინსვლა იგულისხმება? ეკონომიკური მაჩვენებლები უკან-უკან რომ მიიწევს და მიიპარება? რაც ახლა ხდება, საქართველოში ეს წინსვლაა? ეს უნდა გაგრძელდეს? ამას გვთავაზობენ? თუ ეს ერთი წელიწადი „ნიჩურტა“ იყო და ის წინსვლა იგულისხმება, რომელიც ქვეყანას მანამდე ჰქონდა? რომელსაც არ უნდოდათ და არ ხედავდნენ? ანუ, რა გამოდის, მიხეილის დაწყებული წინსვლის ერთად გაგრძელებას გვთავაზობენ? სხვის გაშლილ სუფრაზე თამადობა ასწორებს არა, სიმონ? ასწორებს არა, ადეიშვილისა და ვაშაძის აშენებული იუსტიციის სახლების ჯერ დემონტაჟი, მერე კიდე საზღვარგარეთ სიარული და ამ იუსტიციის სახლებით ბლატაობა-მარიაჟობა? ახლა გაირკვა, რომ ადეიშვილი კარგი ჩინოვნიკი ყოფილა, თან იმდენად კარგი, რომ ჩვენი პრემიერი ლამის ისე მისტირის ადეიშვილს, როგორც ბერტა ხაფავას გმირივით (ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“) თავის კიას? დავუბრუნდეთ მარგველაშვილის კლიპს. მის საარჩევნო კლიპში ვხედავთ ბევრ შეხვედრას, ბევრ ხალხს, ბევრ ქოლგას, იმასაც, თუ როგორ აბიჯებს ტაძარში. მარგველაშვილი არჩევნების მოპატიჟედ გვევლინება – ამბობს რა შემდეგს: **„მე მინდა, რომ 27-ში ყველა მოვიდეს, როდესაც შემოხაზავს 41-ს, იცოდეს, რომ უბრალოდ, პრეზიდენტს კი არ ირჩევს, არამედ რეალურად ქმნის ახალ პოლიტიკურ რეალობას საქართველოში. ძალიან ნათლად უნდა გამოჩნდეს, რომ ხალხი და მთავრობა ერთად ვართ“.**

ესაა ალბათ ის საძირკველი, რომელზედაც შემდეგ აშენდა 60%-ის მოთხოვნა, მოთხოვნა იმისა, რომ მარგველაშვილი პირველივე ტურზე უნდა აირჩეს, ენთუზიაზმი რომ არ დაეკარგოთ. ამ „ენთუზიაზმის“ ხსენებამ ის ძველი ანეკდოტი გამახსენა (პრემიერს უყვარს ანეკდოტები), ოსი მოხალისედ რომ წავა ომში და 2 საათის შემდეგ უკან მოდის – ხალისი დავკარგეო. ჰოდა, ხალისი რომ არ დაკარგოს, ბიძინა ივანიშვილი კლიპშივე გვევლინება და რეკომენდატორობს – **„როგორი კაცი მოდის, როგორი მეურნე კაცი მოდის, როგორი მენეჯერი მოდის“.**

ოღლა ბებიას ბროლის კბილების არ იყოს, სად ვნახეთ მარგველაშვილის „მეურნეობა“ — ეტა რაზ, რომც სასწაული მეურნე და მენეჯერი იყოს, სჭირდება კი ეს თვისებები დიდად იმგვარ პრეზიდენტს, როგორიც ამიერიდან უნდა გვყავდეს კონსტიტუციით? – ეტა დვა!

თუ ასეთი კარგი მენეჯერი და მეურნეა, 2014 წელს თბილისის მერის არჩევნები გველის და მერობისთვის შეენახა მარგველაშვილი, თუ „დაწნილება“ არ უნდოდა, აგერ არჩევნებიდან ერთ კვირაში პრემიერის კანდიდატურას გეტყვითო – ხომ გვითხრა და პრემიერად დაეტოვა, პრეზიდენტად კი წამოეყენებინა სალომე ზურაბიშვილი ან ალასანია, რომლებსაც საგარეო ფრონტზე მუშაობის გამოცდილებაც აქვთ და შედეგებიც?

„მეურნე“ მარგველაშვილი კოჰაბიტაციასაც გვაყვედრის კლიპში და გვამცნობს – **„პოლიტიკური სირთულეების პერიოდი საქართველოში, რომელსაც კოჰაბიტაცია დაარქვეს, დამთავრდება და დამთავრდება თქვენი ხელით, 27-ში, 41 ნომრის შემოხაზვით“.**

მოკლედ, ვამთავრებთ კოჰაბიტაციას და ვაგრძელებთ წინსვლას. ვამთავრებთ იმას, რომელიც არც დაწყებულა და ვაგრძელებთ იმას, რომელიც არ დაწყებულა. კაცურად მითხარით, ამას შალვა ნათელაშვილის სლოგანი არ სჯობდა – „ჩვენ ვიწყებთ“?

რა ხდება ბურჯანაძის კლიპოლოგიაში? ყველაზე საგულისხმო და ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ ქალბატონი ბურჯანაძე ბრძანებს — „ჩემო თანამოქალაქენო, ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ“... გესმით? კი არ ბრძანებს – „ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში“-ო, ან თუ ამირჩევთო, არა, დარწმუნებულია, რომ ავირჩევთ და ბრძანებს – „ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ“! და რას იზამს ამის შემდეგ? **„ჩემო თანამოქალაქენო, ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ვიცი, როგორი პოლიტიკა უნდა გავატარო, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგეს. სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს არა მხოლოდ დამნაშავეების დასჯას, არამედ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, სხვადასხვა დროს უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების რეაბილიტაციას. ჩვენ დავიწყებთ ჩატეხილი ხიდების აღდგენას ჩვენ აფხაზ და ოს ძმებთან, ჩვენ განვათავისუფლებთ ჩვენ ქვეყანას მავთულხლართებისგან. ომი აღარასოდეს აღარ იქნება, ჩვენ დავამკვიდრებთ სამართლიანობას ყველგან და ყველასთვის“,** – გვეუბნება ბურჯანაძე.

ამ კლიპის შემდეგ, ქალბატონ ნინოს ერთი რამ მინდა ვურჩიო – ვიდრე პრეზიდენტად აირჩევენ, იცოდეს, რომ ქვეყანას არ ანთავისუფლებენ – ათავისუფლებენ. „ნ“ ზედმეტია. და საინტერესოა, ვისი მავთულხლართებისგან უნდა გაა(ნ)თავისუფლოს ქვეყანა? იმ პუტინის მავთულხლართებისგან, რომელსაც გვერდს უმშვენებდა?

მოკლედ, ბურჯანაძემ ფსონი სამართლიანობის აღდგენაზე დადო, ანუ იმაზე, რასაც ბიძინა ივანიშვილის „ოცნება“ დაპირდა ხალხს, მაგრამ დატოვა ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილისა და აგერ, კეზერაშვილის დაჭერისამარა. სოციალური, უტოპიური დაპირებების შესრულების თავი რომ არ ჰქონდათ, თვითონ მეოცნებეებმა აიჩემეს – ჩვენ ხალხმა სამართლიანობის აღსადგენად აგვირჩიაო. დაჭერებს მიაწვნენ და ლაპარაკს იმაზე, რომ ხალხს უკანონოდ წართმეული დაუბრუნდებოდა. დაჭერები კი ვნახეთ, მაგრამ ვინმეს რამე დაბრუნებოდა – ჯერ არ გვინახავს, ხოდა, ეს ნიშა ნახა რა თავისუფალი ნინომან, დაისაკუთრა იგი – „სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის“.

ერთ-ერთი კლიპი ხალხის წუწუნით იწყება, რომ არაა შუქი, გზა... არადა, მიშას დროს წუწუნებდნენ – ასფალტი ვჭამოთო? ახლა ირკვევა, რომ როცა არაა შუქი, როცა არაა გაზი, რეალურად, სოფელი არ არსებობს. ვიღაც სამსახურიდან გამოგდებაზე ჩივის, ვიღაც კიდე უფრო საინტერესოს: „მათ მოსვლამდე, მათ მოსვლამდე უფსკრულთან ვიდექით, ახლა უკვე უფსკრულის ძირში ვართ“.

საინტერესოა, ვინაა ეს „მათ“? ვინ იგულისხმება — მეოცნებეები? ანუ „ოცნების“ მოსვლამდე უფსკრულის პირას ვიყავით და ახლა ძირში ვართ? თუ ეს „მათ“ ნაციონალები არიან? თუ ეს „მათ“ ყველაა ერთად და მხოლოდ ნინოა მხსნელი და ამომყვანი ამ უფსკრულიდან? უკაცრავად, თუ ამ უფსკრულში მიხეილმა ჩაგვიყვანა, ნინო ვინ იყო და სად იყო 2008 წლამდე? ეგეც მიხეილთან ერთად არ მიგვიძღვებოდა მაგ უფსკრულისკენ? ახლა კი დგას და ამბობს: **„მე ძალიან კარგად ვიცი ყველა ის პრობლემა, რომელზეც ეს ადამიანები საუბრობდნენ, მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვაგვარო ეს პრობლემები, მე ვიცი, ამ პრობლემების მოგვარების გზა და მე დავამყარებ სამართლიანობას ყველგან და ყველასთვის“.**

ქალბატონ ნინოს იქნებ ვინმემ აუხსნას ისიც, რომ ქართულ ენაში ამდენი მე-მეს ძახილი არაა საჭირო, ამ ერთ აბზაცში 4-ჯერ რომ ხმარობს „მე“-ს, ქართულ ზმნაში ეს „მე“ იგულისხმება – „ვიცი“ უკვე ნიშნავს იმას, რომ მე ვიცი და არა სხვამ. და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი – ბურჯანაძე საუბრობს პრობლემების მოგვარების გზაზე და არა გზებზე. როგორც ჩანს, ყველა პრობლემას მოგვარების ერთი გზა აქვს, ის გზა ხომ არა, ფრანცუსკების ამარა რომ გაიარა? გზა, რომელმაც პუტინამდე მიიყვანა?

კიდევ ერთმა საარჩევნო კლიპმა, რომელიც გაზეთებიდან ამონაჭრებით იწყება, კინოფილმი მამლუქი გამახსენა, „ვინ არის ის“ რომ იწყებდნენ კითხვას და მერე პასუხობდნენ – მაჰმუდი, მაჰმუდი. ნინოს კლიპში კითხულობენ — „ვინ არის ის ადამიანი, ვისაც აქვს უნარი და გამოცდილება, ამ ურთულეს ვითარებაში გაუძღვეს ქვეყანას? ეს ნინო ბურჯანაძეა და შემოხაზე 14“. როგორც ჩანს, „მამლუქი“ ქალბატონ ნინოს საყვარელი ფილმია. კიდევ კარგი „მანანა“ არ უყვარდა, თორემ დაგვმოძღვრავდა – ნინო ვარ იცოდეთ, სხვებში არ შეგეშალოთო.

დავით ბაქრაძე მთავრობის ერთად კონტროლს გვთავაზობს. დღევანდელ ვითარებაში, როცა საპარლამენტო უმრავლესობა „ოცნების“ ხელშია და მთელი აღმასრულებელი ვერტიკალი – აოცნებებული, ეს სლოგანი სწორედაც რომ რეალურია, ანუ ბაქრაძე საარჩევნო დაპირებებს კი არ იძლევა, გვთავაზობს –ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა და შევასრულებინოთ ის, რასაც დაგვპირდნენ. ბაქრაძის კლიპი გვახსენებს – **„დიდი საგარეო გამოწვევების წინაშე მდგარ საქართველოს, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების პრეზიდენტი სჭირდება. დავით ბაქრაძე საქართველოს პრეზიდენტად“.**

გვახსენებენ იმას, რომ ბაქრაძეს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს დიპლომატიასა და საგარეო პოლიტიკაში. გვახსენებენ იმასაც, რომ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ნატო-ს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაში — რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება.

აქცენტი კეთდება იმ თვისებებზე, გამოცდილებაზე, რაც სჭირდება ახალ პრეზიდენტს და არა მეურნეობაზე, აქცენტი კეთდება ევროპასთან დაახლოებაზე. კადრებიც შესაბამისია არჩეული – ბაქრაძე საერთაშორისო ტრიბუნებზე, მოლაპარაკებებზე, ერთი ეგაა, თავად ბაქრაძის მაკიაჟი ცოტა მემაღლება. მოკლედ, ნაციონალებს პიარი არც ამჯერად ეშლებათ. შეიძლება ვინმე შემომედავოს და მითხრას, ნატო და ევროკავშირი არ მუშაობს და ეს აქცენტები წარმატებას არ მოუტანს ბაქრაძეს არჩევნებშიო. ვისაც ნატო და ევროკავშირი არ უნდა და გული რუსეთისკენ მიუწევს, ის ბაქრაძეს მაინც არ აირჩევს, სულ რომ ლეკური დაუაროს კრემლის დიდ დარბაზში.

მოკლედ, ასე ვხვდებით არჩევნებს – წყალწყალა, არცთუ ისე საინტერესო კლიპებით, არაფრით გამორჩეულით. უცხო კლიპი (არ ვამბობ კარგი, ცუდი – გამორჩეული) სერგო ჯავახიძეს აქვს, მოდის და „მოაქვს“ ქვეყანა. ვნახოთ, რას მოგვიტანს თვითონ არჩევნები.



## შსს-ს ორთაბრძოლების კლუბის წევრები რუსეთში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

19-20 ოქტომბერს, რუსეთში, სანკტ-პეტერბურგმა შერეულ ორთაბრძოლებში ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს (MMA) უმასპინძლა. პეტერბურგის ფრენბურთის აკადემიის დარბაზში გამართულ M-1 Challenge 42-ის ტურნირში ქართველმა სპორტსმენმა ნოდარ კუდუხაშვილმა (84 კგ) ოქროს მედალი, ხოლო არჩილ თაზიაშვილმა (65 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შერეული ორთაბრძოლების პირველ ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიოს 35 ქვეყნიდან ჩასული 100-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა. 84 კგ კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ქართველი და რუსი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ. სამრაუნდიან დაძაბულ ბრძოლაში ნოდარ კუდუხაშვილმა შამილ აბდულოვს (რუსეთი) სძლია.

რუსეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე ყველა ქართველი სპორტსმენი შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაფუძნებული „შსს-ს სპორტული ორთაბრძოლების კლუბის" მებრძოლები არიან. სამომავლოდ, საბრძოლო ხელოვნების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, იგეგმება კლუბის საწვრთნელი დარბაზის და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი განვითარება.

*„ვერსიანიუსი"*



## შსს-მ ჯგუფური ყაჩაღობის ბრალდებით ორი პირი რამდენიმე საათში დააკავა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მცხეთის რაიონული სამმართველოს და საგურამოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლაშა კ. და 1990 წელს დაბადებული, წარსულში სამჯერ ნასამართლევი გიორგი გ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ცივი იარაღით შეიარაღებულმა ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, მცხეთის რაიონში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1967 წელს დაბადებულ მიხეილ კოკორიანს ავტომანქანა „მერსედესი", ფული მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები გასტაცეს. გატაცებული ავტომანქანით მათ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინეს, ავტომანქანა მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაზიანებული ავტომანქანა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს და მის მფლობელსაც მიაკვლიეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე საათში, მცხეთაში დააკავეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულებმა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში ტაქსის მძღოლს ყაჩაღურად თავს დაესხნენ, ცივი იარაღის მუქარით წაართვეს ფული, ოქროს ბეჭედი, მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულებს აღიარებენ. სამართალდამცველებმა ორივე ყაჩაღობის შედეგად გატაცებული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჯგუფურად თავდასხმის ფაქტზე და იგივე ქმედების, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით და მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი"*

# „ეს არის აღიარება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების დონე უმაღლესია"



## რას მოუტანს საქართველოს ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში გაწევრიანება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი აცხადებს, რომ 2015 წელს ქართული სპეცდანიშნულების ძალები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში გაწევრიანდებიან. ერთობლივი წვრთნები ნატო-ს ჯარისკაცებთან და ალიანსის მიერ დაგეგმილ ოპერაციებში მონაწილეობა — სწორედ ამას გულისხმობს იმ დანაყოფში გაერთიანება, რომელიც 11 წლის წინ შეიქმნა და 15 ქვეყანას აერთიანებს.

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალსანიას განცხადებით: **„ეს არის კიდევ ერთი დასტური და აღიარება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების დონე არის უმაღლესი ისეთივე, როგორც ნატო-ს წევრი ქვეყნების. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გვექნება შესაძლებლობა, უფრო გავაღრმაოთ ურთიერთქმედება ნატო-ს წევრ ქვეყნებთან და გავხდეთ ნაწილი სწრაფი რეაგირების ძალებისა, რომელიც მოწოდებულია ნებისმიერ ცხელ წერტილში სწრაფი რეაგირებისა და სამშვიდობო თუ სხვა მისიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის".**

ქართველი ექსპერტები აცხადებენ, რომ გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ეყოლება ერთი ქვედანაყოფი და ის ყველა იმ ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც 2015 წლის შემდეგ ნატო-ს სარდლობა დაგეგმავს. საქართველოს არმიას შესაბამისი საბრძოლო დონის მისაღწევად ორწლიანი ვადა აქვს. თავდაცვის ექსმინისტრი დავით სიხარულიძე ანდერს ფოგ რასმუსენის ამ განცხადებას ალიანსთან ჩვენი შემდგომი დაახლოებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად და საქართველოს შეიარაღებული ძალებისადმი დიდი ნდობის გამოცხადებად მიიჩნევს: **„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც უერთდება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს, სხვა დანარჩენი ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალებია. ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს, რომ ნატო-ს აზრით, თავსებადობის ძალიან მაღალი დონეა მიღწეული საქართველოსა და ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის".**

საქართველოს არმიისთვის ალიანსის სამხედრო ძალებთან თავსებადობის მაღალი დონის მიღწევას რამდენიმე წელი და სამ სისხლისმღვრელ საერთაშორისო ოპერაციაში მონაწილეობა დასჭირდა. ამჟამად, ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ოპერაციაში საქართველო, 1650-კაციანი ქვედანაყოფით, ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდის პროვინციაში, ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების მხარდამხარ ასრულებს საბრძოლო დავალებას. სამი წლის განმავლობაში საქართველოს ქვედანაყოფმა ავღანეთში 29 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. ბოლო დიდი მსხვერპლი საქართველოს კონტინგენტმა 2013 წლის 6 ივნისს გაიღო — ჰელმანდის პროვინციაში მეამბოხეთა მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად, საქართველოს ქვედანაყოფმა შვიდი ჯარისკაცი დაკარგა.

ქართველი ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებას 29 ივნისს, ბათუმში გამართულ თავდაცვის კონფერენციაზე მაღალი შეფასება მისცა ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (აისაფის) სარდალმა, ამერიკელმა გენერალმა **ჯოზეფ დანფორდმა: „ამას ადასტურებს ის 10 წელი, რაც ქართველ სამხედროებთან ერთად ვიმსახურე ჯერ ერაყში, შემდეგ კი ავღანეთში. საქართველოს სამხედროებს კარგი ურთიერთობა აქვთ ავღანელ ხალხთან. ქართველმა ჯარისკაცებმა გამოავლინეს პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და დიდი სიმამაცე".**

სამხედრო ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი „ვერსიასთან" საუბრისას ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში გაწევრიანებას წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს. მისივე თქმით, ალიანსის სპეცსამსახურებთან ერთად კოორდინირებული მოქმედება მხოლოდ დადებით შედეგებს მოგვცემს — ეს ქართული ჯარისთვის, პროფესიული წინსვლასა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას უდრის: **„როგორც ვიცი, უკვე მიმდინარეობს ჯარისკაცების შერჩევის პროცესი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, უკვე დაიწყო მზადება, ქართული არმიის ერთი ასეული გამოძახების შემდეგ პროცესში რომ ჩაერთოს. მოუმზადებელი ქვედანაყოფის იქ გაგზავნა არ შეიძლება. წვრთნები ისეთივე მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს, როგორც ისინი ემზადებიან. თავი არ უნდა შევირცხვინოთ და მაღალ დონეზე უნდა ვიყოთ წარმოდგენილნი".**

რას წარმოადგენს სწრაფი რეაგირების ძალები და თუ შეძლებს, დადებითი ძვრები მოახდინოს საქართველოს ცხოვრებაში? ირაკლი ალადაშვილის განმარტებით, ეს ძალები ალიანსის შემადგენლობაში შედარებით ახალი სტრუქტურაა, თუმცა მისი წინამორბედი — ნატო-ს მობილური ძალების სარდლობა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს შეიქმნა: **„60-იან წლებში ნატო-ს ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ ალიანსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე არასაკმარისი ძალა ჰყავდა საბჭოთა სატანკო არმადების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად და ამიტომ მობილური ძალების სარდლობას ოპერატიულად უნდა გადაესროლა დამატებითი საბრძოლო დანაყოფები ჩრდილოეთით — ნორვეგიაში თუ სამხრეთით — თურქეთში. „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ, ნატოს მობილური ძალების სარდლობას ორჯერ მოუხდა მოქმედება — 1995 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში და 1999 წელს კოსოვოში მისიების შექმნისას, როდესაც ალიანსის სწრაფი რეაგირების კორპუსმა პირველი ეშელონის ძალების ფუნქცია შეასრულა. ნატო-ს მობილური ძალების სარდლობა 2002 წელს გაუქმდა და 2003 წელს ბრიუსელში ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა თათბირზე შეიქმნა ნატო-ს (სწრაფი) რეაგირების ძალები. 2004 წელს მისი რიცხოვნობა 17 ათას კაცს შეადგენდა, ორი წლის შემდეგ კი 25 ათასამდე გაიზარდა. შედგება სამი ორგანიზაციული ერთეულისგან: მმართველობა, დაუყოვნებელი მოქმედების ძალები 13 ათასი კაცის შემადგენლობით და რეაგირების ძალების რეზერვი, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში, დახმარება უნდა გაუწიოს კონფლიქტის ზონაში გადასროლილ დაუყოვნებელი მოქმედების ძალებს. სწრაფი რეაგირების ძალების დაკომპლექტება როტაციის პრინციპით ხდება. ალიანსის წევრი ქვეყნები ყოველ ექვს თვეში გამოყოფენ დანაყოფებს თავიანთი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებიდან რიგების შესავსებად. დაუყოვნებელი მოქმედების ძალებში შედის სახმელეთო კომპონენტი ერთი ბრიგადის შემადგენლობით (თავად ბრიგადა შედგება სამი ტაქტიკური ჯგუფისგან და ლოჯისტიკის დანაყოფისგან); საზღვაო კომპონენტი, რომელშიც გაერთიანებულია ალიანსის სამხედრო-საზღვაო ჯგუფები ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში, ასევე მუდმივმოქმედი ნაღმსაწინააღმდეგო ჯგუფები, საბრძოლო ავიაციისა და მისი უზრუნველყოფის კომპონენტი; სპეციალური დანიშნულების ჯარები და მასობრივი განადგურების იარაღისგან თავდაცვის ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი.**

**მის შემადგენლობაში, ალიანსის წევრი ქვეყნების გარდა, მონაწილეობა ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ; მაგალითად, სწრაფი რეაგირების ძალების რიგებში უკრაინა ჯერ კიდევ სამი წლის წინ მიიწვიეს, ამიტომაც განსაკუთრებული იმაში, რომ მალე ალიანსის რეაგირების ძალებში ქართველი სამხედროებიც შეიძლება ვიხილოთ, არაფერია. ნატო-ს რეაგირების ძალების ამოცანაა, წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ძალის დემონსტრირება, მშვიდობის უზრუნველყოფა რეგიონში, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვა, სტიქიური უბედურების დროს დახმარების აღმოჩენა. შექმნიდან დღემდე, შემდეგი ოპერაციები ჩაატარა: 2004 წელს, ათენში, ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებას იცავდა; 2004 წელს ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე სიმშვიდეს უზრუნველყოფდა; 2005 წელს აშშ-ში ქარიშხალ „კატრინას" დროს ევროპიდან დახმარება, ხოლო 2005-06 წწ-ში პაკისტანში ძლიერი მიწისძვრის შემდეგ 3500 ტონა საჭირო ტვირთი ოპერატიულად ჩაიტანა. ნატო-ს რეაგირების ძალებს შეიძლება თავისი მოქმედების სია ღირსეულად გაეგრძელებინათ, 2008 წლის აგვისტოში, რუსული სამხედრო აგრესიის საპირისპიროდ, საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ბრძანება რომ მიეღოთ, თუმცა ასე არ მოხდა..."**

ნატო-ს ღია კარზე კაკუნი დიდხანს გაგრძელდა. ბუქარესტის სამიტზე ისტორიული განცხადების მიუხედავად, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი, რუსეთის ღია სამხედრო აგრესიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. იმედია, სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობა, რეალურად იქნება ალიანსში სრული ინტეგრაციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი.

მედია-კავშირი ობიექტივი
FM 105.0
www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
ვერსია
www.versia.ge



# გიორგი ვოლსკი: „რუსეთის თვითნებობის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ შეგვიძლია“

რუსუდან შელია
557-100-768

**21 ოქტომბერს, გაზეთ „ვერსიისა“ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტის „ვერსიის საათის“ სტუმარი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი იყო, რომელმაც საგარეო და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეაფასა.**

— ოთხმა რუსულმა სამხედრო ვერტმფრენმა საქართველოს საჰაერო სივრცე სოჭის ოლიმპიადის ფარგლებში გადმოკვეთა — ფიქრობენ, რომ ეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია. მოგეხსენებათ, მათთვის ეს ტერიტორია „მოკავშირე“ აფხაზეთია, ჩვენთვის კი — ოკუპირებული რეგიონი. რუსეთის თვითნებობის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ შეგვიძლია — საქართველოს ამის რესურსი არ გააჩნია. რაც მთავარია, საერთაშორისო თანამეგობრობისგან მტკიცე მხარდაჭერას ვგრძნობთ. მესმის, საზოგადოებაში არსებობს ურთიერთობის ჩამოყალიბებული სტანდარტი — როცა შენს მიმართ აგრესიას ავლენენ, აგრესიითვე უნდა უპასუხო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ.

**— აგრესიისკენ არც საზოგადოება მოგიწოდებთ, თუმცა ბევრი ფიქრობს, საქართველოს ხელისუფლებამ პოზიცია, თუნდაც, სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადებით უნდა დააფიქსიროს.**

— ოლიმპიადის ბოიკოტი რუსული ექსპანსიის ხელშეწყობა იქნება. შესაბამისად, საზოგადოების ნაწილი არასწორ გამოსავალს გვთავაზობს. საქართველომ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მტკიცე პოზიცია უკვე გამოხატა, რასაც საერთაშორისო პარტნიორებმაც მხარი დაუჭირეს. როგორც ჩანს, მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის — ჩვენ არ გვაქვს ის ფიზიკური ძალა, რომელიც მავთულხლართებს გადააგდებს, სოხუმში შეიჭრება და წესრიგს აღადგენს. პოლიტიკური ოპონენტები მაგიდაზე მუშტების ბრახუნისკენ მოგვიწოდებენ. ზოგი გვეუბნება, დაელოდეთ, რუსეთი ერთ მშვენიერ დღეს დაინგრევა და ოსებსა და აფხაზებსაც დავიბრუნებთო. ვის დავუჯეროთ? ამ ეტაპზე, რუსეთთან მიმართებაში პრაგმატულ პოლიტიკას ვატარებთ. სააკაშვილი კი თავის დროზე, ყველა პროვოკაციას აყვა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კრემლის დიდი ნაწილი ბედნიერი ყოფილიყო. კი ბატონო, ვთქვათ, ბოიკოტი გამოვაცხადეთ, მაგრამ როგორც მოსალოდნელია, დანარჩენი სახელმწიფოები არ აგვყვნენ, შემდეგ რას ვაკეთებთ? გამოვა, ჩვენს ფასეულობებს მსოფლიო არ იზიარებს და ბევრად უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, თან ამ ბოიკოტს მსოფლიო რამდენიმე დღეში დაივიწყებს.

**— საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რუსეთი კიდევ ერთ სიურპრიზს ამზადებს — რუსეთის დუმის დეპუტატი ალექსი ლიხაჩოვი თბილისში ჩამოსვლასა და საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს გეგმავს. არადა, ქართული კანონმდებლობით, მას საქართველოში ჩამოსვლა ეკრძალება, რადგან წარსულში სოხუმში იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში, ქართული ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია როგორია?**

— ეს ფაქტიც რუსეთის მორიგი პროვოკაციაა. რა ჯანდაბა უნდა ლიხაჩოვს საქართველოში, თანაც არჩევნების წინ, როცა ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა? ეს რუსეთის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ მომართული წკიპურტებია, რომელსაც ალბათ, დემარშით უნდა ვუპასუხოთ, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ ამით საკუთარ თავს დავაზარალებთ. თედო ჯაფარიძემ ევროსაბჭოს მდივანს უკვე მიწერა, რომ საქართველოში ლიხაჩოვის ჩამოსვლა საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, თავად ლიხაჩოვი ზედმეტად მონდომებულია, რომ ევროსაბჭოს მანდატით ჩამოვიდეს, ევროსაბჭო კი, ამ შემთხვევაში, უკან ვერ იხევს. ფაქტია, რუსი დეპუტატი ცდილობს, რუსეთის დუმას კი არა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან დაგვაპირისპიროს. მე, როგორც დიპლომატი, ვფიქრობ, ლიხაჩოვის შემთხვევაში, ტაიკვანდოს პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ — მისი პროვოკაცია საჩვენოდ გამოვიყენოთ, მაგრამ კანონმდებლობას ვერავინ შეეწინააღმდეგება. ოკუპირების შესახებ კანონში ცვლილებები უკვე შევიტანეთ, თუმცა ჯერ დამტკიცებული არ არის.

**— ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მავთულხლართების პრობლემას მოაგვარებს და რუსეთთან ურთიერთობაც დალაგდება. საგარეო პოლიტიკა არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს?**

— არ მესმის, რატომ აკეთებს მსგავს განცხადებებს ნინო ბურჯანაძე. არჩევნების შემდეგ პუტინი იტყვის, რადგან ქალბატონმა ნინომ გაიმარჯვა, მავთულხლართებს აღარ გავავლებო? შეუძლებელი და აბსურდული განცხადებაა. ბევრი იმასაც ამბობს, შავი ჩოხა ჩავიცვათ და სისხლით შევღებოთო, მაგრამ როგორ შეიძლება ეს გააკეთოს ხელისუფლებამ, რომელიც ხალხის წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას გრძნობს? სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში აბსოლუტურად უპასუხისმგებლოდ ექცეოდა თავის ქვეყანას. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაც მოხაზა და სანაკოევი პრეზიდენტად აირჩია, თუმცა რითიც დასრულდა მისი თამაში, ვნახეთ. ვფიქრობ, პრობლემა მოგვარდება, თუ საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივი თემის სახით არ იარსებებს. გვინდა, სახელმწიფოები გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდნენ, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში მუდმივი ომი იქნება. ჩვენ სწორედ ამ პერიოდისთვის უნდა მოვემზადოთ. ის დროც მალე დადგება, როცა დასავლეთი და რუსეთიც ჩათვლიან, რომ რეგიონში დაძაბულობა მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

**— ამ ფონზე, პრემიერი ისე მიდის თანამდებობიდან, ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლას ვერ ასწრებს. ეს დასავლეთთან ურთიერთობაზე ნეგატიურად არ იმოქმედებს?**

— მსგავსი მასშტაბის ოფიციალური ვიზიტები მოკლე ვადებში არ იგეგმება. ჩაირბინე, ხელი ჩამოართვი და დაბრუნდი — ბიძინა ივანიშვილი ამერიკაში ამ პრინციპით ვერ ჩავიდოდა, რადგან ის მიხეილ სააკაშვილი არ არის. მოლაპარაკებების წარმოებას სერიოზული მომზადება სჭირდება, რისი დროც ამ ერთი წლის განმავლობაში, ფიზიკურად, არ იყო. ჯერ შიდაპრობლემები უნდა მოგვეგვარებინა და პოლიტიკურ პარტიებთან თანაარსებობა გვესწავლა.

— 27 **ოქტომბერს კოჰაბიტაციის დასრულების გამოცხადებით, ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკური თანაარსებობის შეწყვეტას აანონსებთ?**

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციის გამოცხადება აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო დაპირისპირებას მივიღებდით. ამას კი საქართველო სახელმწიფოებრივად ვეღარ გადაიტანდა. სამწუხაროდ, ამ ერთი წლის განმავლობაში კოჰაბიტაციის მახინჯი მხარეებიც გამოიკვეთა და საზოგადოებას გაუჩნდა განცდა, რომ პოლიტიკოსები მათ ზურგსუკან მორიგდნენ, მოქალაქეების ინტერესები მმართველმა გუნდმა დაივიწყა, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. კანონის წინაშე ყველა პასუხს აგებს.

## მედიატური

# „რთველი 2013“-ის ფარგლებში, კახეთს უცხოელი დიპლომატები ესტუმრნენ



### ელჩებმა პური გამოაცხვეს, ჩურჩხელა ამოავლეს, ხინკალი მოახვიეს, მწვადი შეწვეს და ღვინო დააგემოვნეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ინიციატივით, 20-21 ოქტომბერს, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისთვის კახეთში კულტურული ტური გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებმა სოფელ კისისხევში, შუხმანის ღვინის ქარხანა მოინახულეს. კულტურულ ტურს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია დაესწრნენ. საქართველოში აკრედიტებულ უცხოელ დიპლომატებს „რთველი 2013“-ის შედეგები გააცნეს.**

შუხმანის ღვინის ქარხანა თელავის რაიონის სოფელ კისისხევში მდებარეობს. კომპანიის გერმანელ მფლობელს, ქარხნის ტერიტორიაზე ეთნოგრაფიული კუთხე აქვს მოწყობილი. აქვეა მცირე ვენახი, თონე, სხვადასხვა სამზადისი, რაც სტუმრებს ქართული კულტურის შესახებ სრულ წარმოდგენას უქმნის. ღონისძიება, რომელიც საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისთვის გაიმართა, მართლაც სანახაობრივი იყო. ელჩებმა თონეში პურიც ჩააკრეს, ხინკალიც მოახვიეს, მწვადიც შეწვეს, ჩურჩხელაც ამოავლეს და შუხმანის ღვინის ქარხნის ღვინოც დააგემოვნეს. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ნარდის თამაშითაც შეექციათ თავი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე** გამოირჩეოდა, რომელმაც ნარდში ჟურნალისტებსაც მოუგო და ელჩებსაც: **„ჩვენი პროგრამის პირველი პუნქტი შუხმანის ღვინის ქარხნის დათვალიერება იყო, სადაც არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ. სტუმრებისთვის სხვადასხვა სანახაობა იყო მოწყობილი, მათ შორის, ჩურჩხელების ამოვლება, ხინკლის მოხვევა, პურის ჩაკვრა, მწვადის შეწვა... რასაკვირველია, ღვინოც დავაგემოვნეთ, რამაც დიდი ინტერესი და ხალისი გამოიწვია. ეს ყველაფერი ქართული ხალხური სიმღერების ცოცხლად შესრულების ფონზე ხდებოდა. ნარდის თამაშის საშუალებაც მოგვეცა. ამ მხრივ, მხოლოდ სტუმრებმა და ჟურნალისტებმა კი არა, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს თავი და ჟურნალისტები დაამარცხეს“.**

მაია ფანჯიკიძის თქმით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისთვის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მსგავსი სახის შემეცნებითი ტურები წელიწადში ორჯერ — შემოდგომასა და გაზაფხულზე გაიმართება. მინისტრის განმარტებით, ამგვარად დიპლომატები შეძლებენ უკეთ გაეცნონ ქვეყნის კულტურას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და ტრადიციებს. მეტიც, ელჩები ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდებიან.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა, შალვა ფიფიამ „რთველი 2013“-ის შედეგები შეაჯამა. მისი თქმით, ჯამში, წელს 100 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადაამუშავეს. მათ შორის სამი, ძირითადი ინდუსტრიული ჯიში — რქაწითელი, საფერავი და კახური მწვანე. შალვა ფიფიას განმარტებით, წლევანდელი რთველი განსხვავებული იყო, რომელშიც კომპანიების მაქსიმალურად რეკორდული რაოდენობა — ღვინის გადამამუშავებელი 84 საწარმო მონაწილეობდა. რაც შეეხება საქართველოში აკრედიტებული ელჩების შუხმანის ღვინის ქარხანაში ვიზიტს, **შალვა ფიფიამ** აღნიშნა:

**„ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. რთველი დასრულდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი კახეთში იმყოფებოდა, რათა რთველის შედეგებს გაცნობოდნენ. ასეთი ტურები მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციისა და ღვინის პოპულარიზაციისთვის, რათა საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა უკეთ გაიცნონ საქართველო, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა“.**

კახეთის ტურის ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ელჩები ლოპოტას ტბას და Chateau Mere-ს ესტუმრნენ. დღის ბოლოს კი თელავის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალსაც დაესწრნენ.



# „კარტოზიადან დღემდე შვიდი მინისტრი შეიცვალა, სულელური დადგენილების შეცვლა კი არავის უცდია!“

დავით დევიძე
593-219-042

**„ვერსია“ ქართული ცირკის პრობლემებზე უკვე წერდა. საქმე ისაა, რომ საქართველოში ხელოვნების ეს სახეობა, ხელოვნური პრობლემების გამო, სულს ღაფავს ანუ ობიექტური მიზეზების გარდა, ბევრი სუბიექტური საკითხიც არსებობს, რის გამოც ერთ დროს, პატარებისთვის და არა მარტო მათთვის, საყვარელი გასართობი, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს. ამ პრობლემებზე მკითხველს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჟურნალისტური გამოძიების ლიგის პრეზიდენტი გოჩა ხარატიშვილი ესაუბრება, რომელიც ასევე პიარმენეჯერობას უწევს სასწაულად შემორჩენილ ერთადერთ ქართულ საცირკო ჯგუფს.**




— რამდენიმე წინადადებით მინდა გავიხსენო ქართული ცირკის ისტორია. თბილისის ცირკი აშენდა 1939 წელს, ლავრენტი ბერიას თაოსნობით, მანამდე ელბაქიძის აღმართზე, რომელსაც მაშინ ღვინის აღმართი ერქვა, არსებობდა ე.წ. ბალაგანის შენობა, სადაც მოსკოვიდან ჩამოსული მსახიობები საცირკო წარმოდგენებს მართავდნენ. ბალაგანის ხელმძღვანელი იყო იმ დროისთვის ცნობილი საცირკო ხელოვანი რომან გამსახურდია, ვის სახელსაც უკავშირდება ქართული საცირკო ხელოვნების აყვავება. ცირკის აშენების შემდეგ ნელ-ნელა იწყებს ჩამოყალიბებას ქართული საცირკო დასიც, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი მოწინავე იყო საბჭოთა კავშირში. ოთხმოციანი წლების ბოლოდან ისევე, როგორც ხელოვნების ბევრი დარგი, საცირკო სფეროც კრიზისში აღმოჩნდა. მაშინდელი „სოიუზგოსცირკის“ დაშლას, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის ცირკებს ფინანსურად და მატერიალურად ამარაგებდა, ფინანსური კოლაფსი მოჰყვა. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, კერძოდ, კულტურის სამინისტრო სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ გარემოებას — არავინ იცოდა, რა უნდა ექნა. საბოლოოდ, ცირკის შენობის გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღეს.

**— რაც, ფაქტობრივად, ცირკის უფუნქციობის საფუძველი გახდა.**

— შენობის მფლობელებთან პრეტენზია არ გვაქვს. ისინი აკეთებენ, რაც შეუძლიათ. დროდადრო, ჩამოჰყავთ უცხოური დასები და წარმოდგენებს მართავენ. აქ სხვა პრობლემაა — საქმე ისაა, რომ ის პროფესიონალი საცირკო დასი, რომელმაც ხელოვნების ამ ჟანრს გაუთქვა სახელი, დაიშალა და მსახიობები მიმოიფანტნენ. ბევრი დაიღუპა, ბევრმა, უპერსპექტივობის გამო, საერთოდ მიატოვა ეს საქმე, ბევრიც უცხოეთში წავიდა და დღეს რუსეთის, უკრაინისა თუ თურქეთის საცირკო დასებში გამოდის. იქ ამ დარგს დიდ ყურადღებას აქცევენ, ჩვენთან კი სავალალო მდგომარეობაა, რის გამოც გადავწყვიტეთ, პიარმენეჯერობა გაგვეწია ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯგუფებისთვის.

**— ანუ დასი დაიშალა, მაგრამ რაღაც ჯგუფები არსებობს?**

— როცა დასი დაიშალა, სულ სამი ჯგუფი დარჩა: ორი შაპიტო ანუ ცირკის მოხეტიალე კოლექტივი და ერთიც საცირკო-საოჯახო დასი „პატარა ვარსკვლავები“. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ცოტა ხნის წინ, შაპიტოებიც დაიშალა და მამუკელაშვილების საოჯახო ჯგუფი (ოჯახი თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში ცხოვრობს) „პატარა ვარსკვლავებიღა“ დარჩა.

**— და მხოლოდ ამ ერთ ჯგუფზეა დამოკიდებული საცირკო ხელოვნების განვითარება?**

— დიახ, რადგან ხელისუფლებაში არავინ ისურვა ამ საკითხის მოგვარება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჯერ კიდევ დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს მივმართეთ წერილობით და ვთხოვეთ, ამ სფეროს შემდგომი განვითარებისთვის ნება დაერთოთ, საცირკო ჯგუფებისთვის სკოლებში ჩაეტარებინათ წარმოდგენები, მაგრამ სამინისტროდან არაფრისმთქმელი პასუხი მივიღეთ; მოგვწერეს, რომ საცირკო დასების სკოლებში შესვლისა და წარმოდგენების გამართვის ნებართვა, უშუალოდ, სკოლის დირექტორებს უნდა გაეცათ, სინამდვილეში კი ასე არ არის, რადგან არსებობს უამრავი ბარიერი, რაც ამ საკითხის ორგანიზებასა და დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებას უშლის ხელს.

**— რა ბარიერებს გულისხმობთ?**

— იყო შემთხვევა, განათლების სამინისტრომ სწორედ საცირკო ნომრების ჩატარების ნებართვის გაცემისთვის გაათავისუფლა სკოლის დირექტორი... მხოლოდ დირექტორი ვერაფერს წყვეტს — კანონმდებლობით, საჯარო სკოლებში ღონისძიების ჩატარება ხდება შემდეგნაირად: ღონისძიების ორგანიზატორი შესაბამისი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს, რომელიც ერთი თვის ვადაში შეისწავლის საკითხს და ამის შემდეგ ამ თხოვნას skype-ით უგზავნის განათლების სამინისტროს, რომელსაც საკითხის განსახილველად ასევე ერთი თვის ვადა აქვს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ საჭიროდ ჩათვალა სამინისტრომ, თანხმობას აძლევს სკოლას, მაგრამ ამასობაში, გადის ორი თვე და ესეც არ არის საკმარისი — რადგან სასკოლო ფართები ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, განათლების სამინისტროდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სკოლის დირექტორი ეკონომიკის სამინისტროს მიმართავს თხოვნით ღონისძიებისთვის ფართის გამოყოფის თაობაზე, რასაც დამატებით ერთი თვე სჭირდება; სამინისტროდან დადებითი პასუხის მოსვლის შემდეგ კი, კიდევ რამდენიმე ბარიერია გადასალახი. როცა სკოლის დირექტორს ყველა ნებართვა აქვს, აცხადებს ტენდერს სკოლაში ღონისძიების ჩატარების თაობაზე და ვინც გაიმარჯვებს ამ ტენდერში, მონაწილეობასაც ის მიიღებს — ანუ განაცხადი შეიძლება თქვენ შეიტანოთ, მაგრამ ღონისძიებაში მონაწილეობის ნებართვა სხვამ მიიღოს.

**— კი მაგრამ, თუ მხოლოდ ერთი საცირკო დასი არსებობს, სხვა როგორღა მიიღებს მონაწილეობას?**

— საკონცერტო ჯგუფებს ჩაატარებინებენ კონცერტებს. არადა, სკოლებში საცირკო წარმოდგენების გამართვა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. ჯერ ბავშვების ცხოვრებას ახალისებს, ამრავალფეროვნებს და საცირკო ხელოვნების განვითარებასაც უწყობს ხელს. ჩვენთან მოქმედი კანონმდებლობით კი, რა საცირკო ხელოვნების აღმავლობაზეა საუბარი? ეს არაფრისმთქმელი და სულელური კანონი კარტოზიას მინისტრობის დროს მიიღეს და დღემდე ძალაშია, მიუხედავად იმისა, რომ კარტოზიადან დღემდე, განათლების სისტემაში შვიდი მინისტრი შეიცვალა. იგივე ვითარებაა მერიის დაქვემდებარებაში არსებულ საბავშვო ბაღებშიც — შესაბამისი სამსახური არანაირი ღონისძიების ჩატარების ნებართვას არ იძლევა.

**— პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენლებს არ შეხვედრიხართ?**

— პირადად შევხვდი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ქანთარიას, ასევე — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანს, რომლებმაც დახმარება აღგვითქვეს და ვნახოთ, რა იქნება. პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება საცირკო ხელოვნების გადარჩენისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის საჭირო გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ. კულტურის სამინისტრომ კი პრიორიტეტად უნდა აღიაროს ეს დარგი და ბიუჯეტიდან მოითხოვოს დაფინანსება. განათლების სამინისტრომაც უნდა გადახედოს თავის მიდგომებს, თორემ იმ პირობებში, როცა არ არსებობს არანაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცირკის მსახიობებს ვარჯიშისა და ახალი ნომრების დადგმისთვის არ აქვთ ელემენტარული პირობებიც კი, როცა იძულებული ვარ, ბანკიდან პირადად გამოვიტანო კრედიტი, რომ ბენზინი ჩავუსხა და თბილისამდე ჩამოვიყვანო, რა განვითარების პერსპექტივებზე შეიძლება საუბარი.

პრეზენტაცია

# ლიბერთი ბანკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტი

## CityPass

**ლიბერთი ბანკის დირექტორმა, სანდრო რთველაძემ და რუსთავის მერის მოადგილემ, გიგი ტაბატაძემ გამართეს პრესკონფერენცია ახალი ერთობლივი პროდუქტის, სამგზავრო ბარათის CityPass შესახებ.**

**პროექტი ითვალისწინებს ქ. რუსთავის ავტობუსებში მგზავრობის საფასურის ნაღდი ანგარიშსწორებიდან უნაღდო ანგარიშსწორებაზე გადასვლას. ამიერიდან, მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელი იქნება ლიბერთი ბანკის უკონტაქტო პლასტიკური ბარათის ავტობუსებში სპეციალურად დამონტაჟებულ ტერმინალებთან შეხებით.**

**CityPass ბარათის სხვა აღსანიშნავ უპირატესობებს წარმოადგენს:**

- მომხმარებლებს შეუძლიათ გადაიხადონ CityPass ბარათით და მიიღონ 50%-მდე ფასდაკლება 100-ზე მეტ მერჩანტთან, რომელთა რიცხვი ყოველდღე იზრდება (მერჩანტების განახლებული სია იხილეთ ვებ გვერდზე http://cheap.ge)
- ბარათის მფლობელები შეღავათიანი ტარიფით გადაიხდიან კომუნალურ და სხვა ტიპის გადასახადებს ვებ გვერდიდან http://smartivi.ge
- მგზავრობის საფასურის ბარათით გადახდისას აღარ იბეჭდება დამატებით ქაღალდის ბილეთი, რაც ანგარიშსწორებას უფრო კომფორტულსა და გარემოსთვის ნაკლებად საზიანოს ხდის

**სამგზავრო ბარათების — CityPass მიღება შესაძლებელია ქ. რუსთავში განთავსებულ ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში და ასევე მობილურ სერვის ცენტრებში უფასოდ**

**CityPass ბარათზე თანხის შეტანა შესაძლებელია შემდეგი არხებით:**

- ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრების საშუალებით
- NOVA-ს სწრაფი გადახდის აპარატებით (ფეიბოქსი)
- TBC Pay-ს სწრაფი გადახდის აპარატებით
- ნებისმიერი ბანკის VISA/MasterCard ბარათებით, ვებ გვერდიდან Smartivi.ge
- საბანკო ჩარიცხვით (სოციალურად დაუცველ ჯგუფებს მგზავრობის საფასურს ჩაურიცხავს შესაბამისი სახელმწიფო სამსახური)
- eMoney ელექტრონული საფულის საშალებით.




# „ივანიშვილის თაფლობისთვე ელექტორატთან სრულდება“

შონ უოლკერი

**the guardian**

ივანიშვილი გაკვირვებულია მოსაზრებით, თითქოს ის კრიტიკისადმი მგრძნობიარეა. სიტყვებს ფრთხილად გამოთქვამს და მის მეტყველებას ოდნავ რუსული აქცენტი დაკრავს. **„სინამდვილეში, კრიტიკა მიყვარს! ყველამ იცის ეს, ვინც მიცნობს“.** არადა, ყველა, ვინც ბოლო დროს ქართულ პოლიტიკას თვალ-ყურს ადევნებს, საპირისპიროს უნდა ფიქრობდეს. ივანიშვილი თავადაც აღიარებს, რომ მოსახლეობა და მედია ზოგჯერ უფრო მადლიერი უნდა იყოს, რადგან ის „ყველაფერს სწორად აკეთებს“ მას შემდეგ, რაც პოლიტიკაშია: **„საზოგადოებამ მხოლოდ კი არ უნდა აკრიტიკოს; მან უნდა აქოს კიდეც მთავრობა, როდესაც ის კარგად მუშაობს“.**

ივანიშვილი, რომელმაც ქონება 1990-იან წლებში, რუსეთში დააგროვა და ჟურნალ „ფორბსის“ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში 200-ე ადგილზეა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და პოლიტიკაში 2011 წელს შემოვიდა. შარშან, ოქტომბრის არჩევნებში, სახალხო უკმაყოფილების ტალღას შეუერთდა, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ არსებობდა. ივანიშვილმა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ძალიან მრავალფეროვან ჯგუფს მოუყარა თავი და საპარლამენტო არჩევნებში მანდატების უმრავლესობაც მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ, ივანიშვილმა Observer საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაში, რელიგიურ ფესტივალზე მიიღო. ის მამაკაცის უზადო ტანსაცმელშია გამოწყობილი და მოკლე შევერცხლილი თმა უკან აქვს გადავარცხნილი.



იმ ოთახის სარკმლიდან, სადაც ჩვენი შეხვედრა იყო, მე-11 საუკუნის ტაძარი ჩანდა, ეზო სავსე იყო მათხოვრებით, მორწმუნეებით, რომლებიც პირჯვარს იწერდნენ. მათ შორის შავ ანაფორებში ჩაცმული მღვდლები გადაადგილდებოდნენ. ეს სურათი იმის შეხსენებაა, რომ სააკაშვილის ყველა რეფორმის მიუხედავად, თბილისის ცენტრში, ღია კაფეებისა და კაშკაშა განათებების მიღმა, საქართველო კვლავ დიდწილად პროვინციული, კონსერვატიული და ძალიან ღარიბი ქვეყანაა. ივანიშვილის ოპონენტები ამბობენ, რომ მისი ერთწლიანი მმართველობა დამღუპველი იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და დიპლომატიურად, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ბუნებრივია, პრემიერი ამას არ ეთანხმება: **„ეს მხოლოდ ხმაური და ემოციებია, ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ“.**

დიდი მოლოდინი, რომ მილიარდერის ფული რიგითი ქართველებისკენ იქნებოდა მიმართული, არ გამართლდა და ივანიშვილის თაფლობისთვე ელექტორატთან სრულდება. ის ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ პრემიერი თანამდებობაზე ახალ კანდიდატს წარადგენს, თავად კი, ძველებურად, ჩრდილში დაბრუნდება.

სააკაშვილის ახალგაზრდა ენთუზიასტი რეფორმისტების გუნდმა საქართველოში ცვლილებები განახორციელა, გარდაქმნა ქვეყანა არშემდგარი სახელმწიფოსგან ახალბედა დემოკრატად. მაგრამ შემდეგ იყო 2008 წლის ხუთდღიანი, დამანგრეველი ომი რუსეთთან, საპროტესტო აქციების ჩახშობა და ბრალდებები მცოცავ ავტორიტარიზმზე, რისი უყურადღებოდ დატოვებაც უფრო და უფრო შეუძლებელი იყო. ბევრს მიაჩნდა, რომ დინამიკური რევოლუციონერი ლიდერის შემდეგ, ქვეყანას უნდა ამოესუნთქა. სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში, თბილისში მოღვაწე დიპლომატებში გავრცელდა მოსაზრება, რომ საქართველოს სიმშვიდისთვის „ვინმე მოსაწყენი“ სჭირდებოდა. მაგრამ კომპეტენტური, კარგი ტექნოკრატის ნაცვლად, რომელიც სჭირდებოდა ქვეყანას, მოსახლეობამ აირჩია პერსონაჟი, რომელიც თითქოს ძალიან მდიდარი ფანტაზიის მქონე ნოველისტის მოთხრობის გმირი იყო. კარჩაკეტილი ოლიგარქი, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე სასახლეში, დედაქალაქის თავზე, ქვეყნის ყველაზე მდიდარი კაცი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა.

ყველა ტიპის ჭორები დადიოდა მინის სასახლეში დამალული ჯადოქრის შესახებ: ის ქვეყანაში ინკოგნიტოდ გადაადგილდებოდა და ტომრებით გასცემდა ნაღდ ფულს იმ სახელოვნებო და სოციალურ საჭიროებებზე, რომელსაც ღირსად მიიჩნევდა; მას ჰყავდა ალბინოსი თინეიჯერი შვილი, რომელიც საიდუმლოდ წერდა რეპს წამყვან ამერიკელ ჰიპ-ჰოპ ვარსკვლავებთან; ჰყავდა ზებრები, ლემურები და კენგურუები სხვადასხვა მდიდრულ რეზიდენციებში; საგანგებოდ ჩამოატანინა ცოცხალი თევზი ანტარქტიდიდან, რათა მის პინგვინებს კარგად ეგრძნოთ თავი მათთვის შეუსაბამო, თბილი კლიმატის პირობებში საქართველოში. ეს გასაიდუმლოებული ფიგურა სააკაშვილის ბევრ რეფორმას აფინანსებდა, მაგრამ მათ შორის უთანხმოება მოხდა და ისინი მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ თითქმის ყველა ჭორი სიმართლეა.

ივანიშვილმა კანდიდატად პოლიტიკურად ნაკლებგამოცდილი გიორგი მარგველაშვილი წარადგინა. ის კვლევებში ლიდერობს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მილიარდერი ფიქრობს, უამრავი დამამცირებელი ჭორი ვრცელდება, მედია კი უსაფუძვლოდ კრიტიკულია. თვის დასაწყისში, ივანიშვილმა რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი ოთხსაათიანი ჭკუის სწავლებისთვის მიიწვია, შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. პრემიერი ჟურნალისტებს ციტატებს უკითხავდა და მათგან განმარტებებს ითხოვდა. მან გალანძღა ისინი გადამოწმების გარეშე ფაქტების გაშუქებისათვის და მათ „ფოსტალიონები და არა ჟურნალისტები“ უწოდა. ანალოგიური შეხვედრა პოლიტოლოგებთანაც გამართა. ივანიშვილი უარყოფს, რომ კრიტიკაზე ასეთი გაღიზიანების მიზეზი მისი ცხოვრების წესია, განებივრებული ოლიგარქის, რომელიც მლიქვნელებით იყო გარშემორტყმული. მისი აზრით, მას უბრალოდ სურს, ხალხმა ფაქტები დამახინჯების გარეშე მიიღოს: **„ამ ჟურნალისტებსა და ექსპერტებს ვკითხე: „სად არის თქვენი არგუმენტები? არ გაქვთ არგუმენტები! მათ ვერაფერი დაამტკიცეს და შეურაცხყოფილები დარჩნენ. „აი ნახეთ, მას კრიტიკა არ უყვარს“, თქვეს მათ! კი ბატონო, მაკრიტიკეთ, მაგრამ გააკეთეთ ეს არგუმენტირებულად და ნუ ამბობთ ისეთ რაღაცებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება“.**

მისი პიართანაშემწეები ჩივიან, რომ უცხოელი ჟურნალისტები, ძირითადად, პრემიერის ზებრებზე წერენ და არა მის პოლიტიკაზე, რაც შესაძლოა იმის ბრალია, რომ ივანიშვილი ჟურნალისტებთან შეხვედრას თავის ზებრებიან საზაფხულო რეზიდენციაში ამჯობინებს და არა სამუშაო ოფისში. როდესაც ჟურნალისტს პატარა ზებრას აჩვენებთ, ის სავარაუდოდ, ჯერ ზებრაზე დაწერს და მხოლოდ ამის შემდეგ – დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო რეფორმაზე. ერთი ივანიშვილი, ჩანს, ამას დღემდე ვერ მიხვდა.

მხოლოდ ივანიშვილს ესმის და სხვას არავის, იმ ბუნდოვანი სქემის, რომლის თანახმად, ის გეგმავს ახალი პრემიერის დანიშვნას საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალევე. ასევე — პოლიტიკისგან გამიჯვნას, როცა საყოველთაო ბენეფიციარი გახდება, რომელიც მთავრობას ნაღდი ფულით უზრუნველყოფს და „გააკონტროლებს“. ეს, ცოტა არ იყოს, ავბედითი პერსპექტივაა. ესმის კი მას, რომ, როგორც მკაფიოდ მიკერძოებულ პოლიტიკურ ფიგურას, გაუჭირდება სამოქალაქო საზოგადოების ნეიტრალური ბენეფიციარის როლში ყოფნა?

Observer-თან შეხვედრიდან მალევე, მან ტელევიზიით ამომრჩევლებს უთხრა, რომ თუკი მათგან 60%-ზე ნაკლები დაუჭერს მხარს მის რჩეულ საპრეზიდენტო კანდიდატს, მას იმედი გაუცრუვდება და „ენთუზიაზმს დაკარგავს“ მომავალში ინიციატივების განხორციელებისას, რითაც, ფაქტობრივად, დააშანტაჟა ქართველები. სააკაშვილის გუნდის წამყვანი ფიგურა გიგა ბოკერია, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას მისი ოლიგარქიული ბიოგრაფიის პრიზმაში განიხილავს. მისი თქმით, მილიარდერმა შეგნებულად აირჩია საპრეზიდენტო კანდიდატად სუსტი და პოლიტიკურად გამოუცდელი ფიგურა და ჩანს, კიდევ ერთ ახალბედა პოლიტიკოსს დაასახელებს თავის შემცვლელად პრემიერის პოსტზე.



## ბიძინა ივანიშვილი თანამდებობას 24 ნოემბრამდე დატოვებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის მართვას კულისებიდან გააგრძელებს. ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა პრემიერმა „ფრანს პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. **„კულისებიდან მმართველობაში ლოგიკას ვერ ვხედავ. არ ვაპირებ იქიდან მოქმედებას“,** — აღნიშნა ივანიშვილმა და დასძინა, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და არ გამორიცხავს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ის სასამართლოს წინაშე წარსდგეს: **„სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და აღარასოდეს ექნება პოლიტიკური კარიერა საქართველოში. ჩემი აზრით, სააკაშვილს ბევრი კითხვისთვის აქვს პასუხი გასაცემი და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის დაიკითხება“.**

ივანიშვილისვე თქმით, პროკურორები გადაწყვეტილებას გამოძიებაზე დაყრდნობით მიიღებენ და ეს არ იქნება პოლიტიკურად მოტივირებული.

ფრანგულ სააგენტოსთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალე დატოვებს თანამდებობას: **„ინაუგურაციიდან ერთ კვირაში გადავდგები და პრემიერ-მინისტრის პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ“.** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს: **„დაჟინებით მოვითხოვ, მეორე ტური არ შედგეს“.**

ბიძინა ივანიშვილისვე თქმით, არავის აქვს უფლება, შეაფერხოს საქართველოს მთავარი სტრატეგია – ევროპასა და ევროატლანტიკურ ალიანსში: **„ჩვენ უნდა ვაშენოთ დემოკრატიული ინსტიტუტები და ყოველთვის იმას არ უნდა ვუყურებდეთ, ვინ არის ჩვენი პრეზიდენტი“.**

***„ინტერპრესნიუსი“***



## ევროსასამართლო რუსეთს „კატინის საქმეზე“ ევროპის კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებს

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, რუსეთმა ევროპის კონვენცია დაარღვია და სასამართლოს „კატინის საქმის“ დახურვის დადგენილების ასლი არ მიაწოდა. „ბიბისის“ ინფორმაციით, სტარსბურგის სასამართლომ უარი თქვა რუსული მხარის მიერ „კატინის საქმის“ გამოძიების ეფექტურობის შეფასებაზე. სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის განცხადებით, ვერ შეაფასებს რუსული მხარის მიერ წარმოებული გამოძიების ხარისხს, რადგან რუსეთი ევროპის კონვენციას „კატინის საქმის“ გამოძიების დაწყებიდან რვა წლის შემდეგ – 1998 წელს შეუერთდა.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ არ გააჩნია გამოძიების შეფასების კომპეტენცია, რადგან საქმე ეხება 1940 წელს მომხდარ შემთხვევას, როცა არც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არსებობდა და არც ევროპის კონვენცია. რუსეთის მხრიდან ევროპის კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი 15 დახვრეტილი პოლონელის ნათესავმა შეიტანა, რომლებიც რუსეთს ასევე ადანაშაულებდნენ არაეფექტური გამოძიების ჩატარებაში.

კატინის საქმეზე გამოძიება სტრასბურგის სასამართლოში 1990 წელს დაიწყო, თუმცა 2004 წელს, რუსეთის მთავარი პროკურატურის მოთხოვნით, შეწყდა. 2010 წელს რუსეთის პარლამენტმა პოლონელების დახვრეტაში პასუხისმგებლობა იოსებ სტალინსა და მის რეჟიმს დააკისრა. 1940 წელს, სმოლენსკთან ახლოს მდებარე სოფელ კატინის ტყეში, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 20 ათასი პოლონელი სამხედრო პატიმარი დახვრიტა, რომელთა გვამები კატინის ტყეებში დამარხეს. 2010 წლის აპრილში, სმოლენსკში ჩამოვარდა პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი, რომლის ავარიასაც 90-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის თავად პრეზიდენტი და მისი მეუღლე.

***„ინტერპრესნიუსი“***

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | | 1 | | 7 |
| | 8 | 7 | 3 | | | | | |
| | | | | 5 | | | 6 | |
| | 1 | | 7 | | 5 | | 2 | 9 |
| | | | | 4 | | | | |
| 7 | 4 | | 2 | | 3 | | 1 | |
| | 7 | | | 8 | | | | |
| | | | | | 1 | 2 | 9 | |
| 8 | | 2 | | | | | 5 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | 2 |
| | | | | 2 | | | 5 | |
| | | 6 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | |
| 8 | | 2 | | 7 | 6 | 5 | | |
| | | | | | | | | |
| | | 3 | 5 | 9 | | 6 | | 8 |
| | 7 | 1 | 3 | 8 | 9 | 4 | | |
| | 6 | | | 5 | | | | |
| 3 | | | | | | | 9 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 2 | | | 6 | | | |
| | | | | | 4 | | | |
| 6 | | | 2 | | | | | |
| 4 | 5 | | 7 | | | | 8 | 2 |
| 3 | | | | | | | | 9 |
| 7 | 8 | | | | 1 | | 5 | 6 |
| | | | | | 8 | | | 4 |
| | | | 6 | | | | | |
| | | | 4 | | | 1 | 3 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 7 | | | |
| | 8 | 6 | 5 | | | | 9 | |
| | | | 2 | 9 | | 4 | | 1 |
| 9 | 7 | | | 8 | | 6 | | |
| 3 | | | | | | | | 8 |
| | | 8 | | 6 | | | 4 | 9 |
| 8 | | 1 | | 5 | 2 | | | |
| | 3 | | | | 8 | 5 | 2 | |
| | | | 3 | | | | | |

## უველაზე დაბინძურებული ჰაერი ბულგარეთშია



ერთი წლის განმავლობაში, დაბინძურებული ჰაერის გამო, ევროკავშირში 420 ათასი ადამიანი გარდაიცვალა. გარემოს დაცვის ევროპულმა სააგენტომ „ბებერი კონტინენტის" ქალაქებში ჰაერის დაბინძურების ხარისხი შეაფასა: ანგარიშის მიხედვით, გოგირდის დიოქსიდის გამონაბოლქვი, რაც მჟავიან წვიმებს იწვევს, 2011 წლამდე 50%-ით შემცირდა, თუმცა ამის მიუხედავად, ევროპის 22 ქვეყანაში, რომელთა შორის მოხვდა საფრანგეთი, იტალია, ბულგარეთი და პოლონეთი, მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში ნორმას აჭარბებს და ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობა ბულგარეთშია. ექსპერტთა აზრით, ჰაერის დაბინძურების მიზეზი „საბჭოთა ინდუსტრიალიზაციაა", რომლის დროსაც ეკოლოგიურ საკითხებს ყურადღებას არავინ აქცევდა, ახლა კი, ფინანსური პრობლემების გამო, ამის გამოსწორებას ვერ ახერხებს.




## მოჩვენებები „მოაშინაურეს"

ჰელოუინის დღესასწაული ახლოვდება და უცხოეთში ამ დღის აღსანიშნავად ახალი გასართობები უკვე გამოჩნდა. მათ შორისაა მოთვინიერებული მოჩვენება — My Pet Ghost. ამ პატარა შავ ბოთლზე ეკრანია დამონტაჟებული, რომელზეც მოჩვენება ჩნდება და ლაპარაკს იწყებს. ეს ახალი გასართობი კომპანია Hallmark-ის პროდუქტია და მხოლოდ სამი ცალი არსებობს, სახელებით: ჟენევიევა რაფლზი, ჟულიან ჰიჯინქსი და მაქსველ მაკსპუკი. სათამაშოს მწარმოებელი დარწმუნებულია, რომ „შინაური მოჩვენებები" ჰელოუინის დღესასწაულზე დიდი პოპულარობით ისარგებლებს.

## ვაშლი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს



ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ვაშლი ორგანიზმს აახალგაზრდავებს და დაბერების პროცესს აფერხებს. ეს ხილი განსაკუთრებით სასარგებლოა ქალის ორგანიზმისთვის, — ამტკიცებენ სპეციალისტები და დასძენენ, რომ ვაშლის მუდმივი მოხმარების წყალობით კანი ნელ-ნელა იწმინდება თავისუფალი რადიკალებისგან, ნაყოფში არსებული ნივთიერებები კი ორგანიზმში დამჟანგავ პროცესებს აჩერებს და დადებითად აისახება გულსისხლძარღვთა სისტემაზე. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვაშლის ყოველდღიური მიღება სუსტი სქესის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, 17 წლით ახალგაზრდად გამოიყურებოდნენ.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 | 8 |
| 9 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 7 | 6 |
| 3 | 4 | 1 | 7 | 9 | 6 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 2 | 9 | 5 | 4 | 3 | 1 | 6 | 7 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 2 | 9 | 4 | 3 |
| 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 |
| 1 | 9 | 4 | 3 | 8 | 7 | 6 | 2 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 3 | 9 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 5 | 3 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 |
| 7 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 1 | 6 | 5 |
| 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 |
| 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 5 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 4 | 2 | 9 | 3 | 1 |
| 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 | 5 | 9 | 8 |
| 9 | 5 | 6 | 4 | 8 | 1 | 2 | 7 | 3 |
| 8 | 3 | 2 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 4 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 8 | 6 | 1 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 8 | 2 | 4 | 5 | 1 |
| 4 | 2 | 5 | 9 | 1 | 3 | 6 | 8 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 3 | 7 | 8 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 3 | 4 | 8 | 5 | 7 |
| 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 9 | 3 | 6 | 4 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 2 | 8 | 7 | 3 | 6 |
| 4 | 8 | 1 | 3 | 9 | 2 | 6 | 7 | 5 |
| 9 | 5 | 7 | 4 | 6 | 1 | 2 | 8 | 3 |
| 3 | 2 | 6 | 8 | 5 | 7 | 4 | 1 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 |
| 9 | 6 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 2 | 3 | 8 | 4 | 5 | 9 | 6 | 7 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 2 | 6 | 3 | 5 |
| 3 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 8 | 1 |
| 2 | 8 | 5 | 3 | 6 | 1 | 7 | 9 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 3 | 1 |
| 7 | 5 | 1 | 3 | 6 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 4 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 | 8 | 1 | 3 |
| 1 | 6 | 8 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 5 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 |
| 9 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 |
| 4 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 |
| 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 9 | 2 | 7 | 4 |
| 8 | 9 | 4 | 5 | 1 | 7 | 3 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 7 | 8 | 4 | 3 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 5 | 3 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 |
| 2 | 8 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 9 | 3 | 8 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 1 | 6 | 8 | 2 | 9 | 5 | 4 | 3 | 7 |
| 5 | 4 | 2 | 7 | 1 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 4 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 9 |
| 9 | 3 | 6 | 4 | 7 | 8 | 5 | 2 | 1 |
| 8 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 4 |

მე-13 გვერდი: 1. ნიჟარა; 2. სამადლობელი; 3. ათლეტი; 4. ლატიმერია; 5. ნექტარი; 6. ჟასმინი; 7. როტმისტრი; 8. იქედნე; 9. ასამოა; 10. ტოროლა; 11. ქესატი; 12. ლავა; 13. ბილინა; 14. მულატი; 15. დინგო; 16. სან; 17. ქისა; 18. ტვიდი; 19. მალარია; 20. რემა; 21. აისი; 22. იადონი; 23. დომ; 24. რაზდანი; 25. ლეკალო; 26. ბრა; 27. ორხაო; 28. ხუანხე; 29. „გზა"; 30. რაფტინგი; 31. ზარაფხანა; 32. ლაგი; 33. ძმარი; 34. აზიმუტი; 35. საბო; 36. ფურისოდე; 37. მოკო; 38. აზო; 39. ლოტბარი; 40. ენა; 41. ომი; 42. ფხაა; 43. ლოგო; 44. სენა; 45. იაფი; 46. აუტოდაფე; 47. რული; 48. ტრიკო; 49. აბუ; 50. ნოსტე; 51. ნოტაბენე; 52. სტორტინგი; 53. ოლიმპია; 54. ტრიკონი; 55. ხმა; 56. ნუგა; 57. იზეო; 58. გვენ; 59. გმირი; 60. კოტ; 61. ოზი; 62. მისია; 63. აპრილი; 64. აბიო; 65. ტოკაი; 66. იკი; 67. „პინტა"; 68. ონი; 69. იაგანი; 70. დანტე; 71. დიახ; 72. კომში; 73. ბალაგანი; 74. სია; 75. ოკრიბა; 76. აფერა; 77. დონ; 78. ნოინი; 79. იორი; 80. პუანტი; 81. ხეპრე; 82. ალიზი; 83. ოინი; 84. ნერონი.

1. აცტეკთა იმპერიის დედაქალაქი, რომლის ნანგრევებზეც ქალაქი მეხიკო გაშენდა
2. ქაღალდის ძველებური საზომი ერთეული
3. სკანდინაველ ღმერთთა ადგილსამყოფელი
4. ფუჭი, უშედეგო
5. სინამდვილის მოვლენების გამოხატვა გაზვიადებულად, ზებუნებრივად
6. ფელამუშში ამოვლებული ნიგვზის ასხმულა
7. კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიციური ორგანიზაცია
8. მკვდარი ცხოველის სხეული
9. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
10. „ჭირი ..., ლხინი აქა“
11. იტალიელი ფეხბურთელი
12. ტყვიის ასხლეტა რაიმე ზედაპირიდან
13. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
14. „მერვე“ მუსიკალ. ინტერვალი
15. ზრდილობიანი დასტური
16. ტბა აფრიკაში
17. ისტ. ციხე-სიმაგრე აჭარაში
18. მდინარე - ესპანურად
19. შავკანიანი ადამიანი
20. სახოტბო ლექსი
21. სანელებელი მცენარე
22. ტროას მეორე სახელწოდება
23. განგის „მეწყვილე“ მდინარე
24. მწვავე სუნის მქონე უფერო შხამიანი გაზი
25. იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
26. იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა
27. მუს-ლიმანთა წმინდა ქალაქი
28. ერთმანეთში შეგრო-ვილი ფუ-ლით ქეიფი
29. ხურდა ფული შვეციაში
30. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
31. მოციქულ პეტრეს თავდაპირველი სახელი
32. სოფელი ადიგენის რაიონში
33. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
34. მიკი მაუსის მეგობარი „გოგონა“
35. მტაცებელი ფრინველი
36. პოპულარული კომპიუტერული თამაში
37. ცნობილი ირლანდიელი მწერალი
38. ჰერაკლეს ტყუპისცალი ძმა
39. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
40. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
41. ტომ სოიერის მეგობარი ჰეკლბერი ...
42. არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი
43. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
44. ველური კომში
45. ბედისწერის ქალღმერთი
46. პარკოსანი მცენარე
47. მისისიპის უდიდესი შენაკადი
48. ქალის ვარცხნილობის ტიპი
49. მუხის ნაყოფი
50. ამერიკელი თეთრკანიანი რეპერი
51. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
52. სინათლის ზოლი მთვარის ირგვლივ
53. ნაღვლიანი ლექსი
54. ქართული ჭიდაობის ილეთი
55. წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი
56. ძვირფასმატყლიანი ცხვრის ჯიში
57. ალკოჰ. სასმელი
58. იუდეველთა ღმერთი
59. მდ. იტალიაში
60. იგივე სასულე
61. ავი, ანჩხლი დედაკაცი
62. ბრინჯის შეჭამანდი
63. ტურგენევის მოთხრობა
64. ჩრდ. ამერიკული ირმის სახეობა
65. ინგლის. მომღერალი ქალი
66. „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონი „... ტრაფორდი“
67. ყურძენი იზაბელა
68. ცისფერი მთები ანუ „...-შანი“
69. ბანქოს თაღლითი მოთამაშე
70. სამიანი კამათელზე
71. მდინ. ბერლინში
72. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
73. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „... მალ ალან“
74. იტალიური პისტოლეტის მარკა
75. პარიზის ძველი სახელწოდება
76. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
77. დიდი მუწუკი
78. ფარული დაცინვა
79. ჩაპლინის მეუღლის სახელი
80. ნოველა „კარმენის“ ავტორი
81. ქვეყნის წარსული
82. ავტორი რომანისა „ცხოველების ფერმა“
83. ნაპოლეონ ბონაპარტეს ერთ-ერთი მარშალი







# მამის პროფესია ჩანასახზე გავლენას ახდენს

ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მუცლად ყოფნის დროს ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას არა მხოლოდ დედის, არამედ მამის საქმიანობის სფეროც ახდენს. მკვლევარებმა თანდაყოლილი დეფექტის მქონე და ჯანმრთელი ათასზე მეტი ბავშვის მამების მონაცემები შეადარეს, რის საფუძველზეც გამოავლინეს ის პროფესიები, რომელიც საფრთხეს უქმნის შთამომავლობას. სპეციალისტებმა რისკის ჯგუფში შეიყვანეს მხატვრები, ფოტოგრაფები, პარიკმახერები, ფიზიკოსები, სტამბის მუშები, მძღოლები, მნეები, ნავთობისა და გაზის კომპანიების, ქიმიური და კვების მრეწველობის მუშაკები... ზოგიერთი პროფესია კი პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ამა თუ იმ კონკრეტულ დაავადებას. მაგალითად, მებაღეების შვილებს ნაწლავური დაავადებებისკენ აქვთ მიდრეკილება, მხატვრების მემკვიდრეებს გულის, მხედველობისა და სმენის პრობლემები აქვთ, ფოტოგრაფებმა და მძღოლებმა კი შვილები, შესაძლოა, კატარაქტითა და გლაუკომით „დაასაჩუქრონ“. როგორც სწავლულები განმარტავენ, მავნე ნივთიერებებთან კონტაქტი უარყოფით გავლენას ახდენს სპერმის ხარისხზე, რაც თავის მხრივ, ნაყოფის ნორმალურ განვითარებას უშლის ხელს.



# ჰოროსკოპი
## 23 ოქტომბერი

***ვერძი*** — შეიძლება ფიქრობთ, რომ ცხოვრება უღიმღამო და მოსაწყენია, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია. ვითარება მალე უკეთესობისკენ შეიცვლება და გამოჩნდება ადამიანი, რომელიც რადიკალურად შეცვლის თქვენს შეხედულებებს ცხოვრებაზე.

***კურო*** — დროა, ნაბიჯი წინ გადადგათ და ის პრობლემები მოაგვაროთ, რომელიც კარგა ხანია მოსვენებას გიკარგავთ. ტყუილად ნუ ცდილობთ დროის გაყვანას, თქვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს.

***ტყუპები*** — კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, მხოლოდ საბოლოო ხელშეკრულებებს მაშინვე ნუ გააფორმებთ — უმჯობესია, ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად დარჩეს, საღამო კი მეგობრებს დაუთმეთ და იმხიარულეთ.

***კირჩხიბი*** — ისწავლეთ ადამიანების ნდობა და მეგობრების დაფასება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ თქვენს ირგვლივ ყველა არ არის ნდობის ღირსი.

***ლომი*** — გეჩვენებათ, რომ ფორტუნამ ზურგი გაქციათ ერთად იმიტომ, რომ ყოველწუთს ახალი პრობლემა ჩნდება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს ყველაფერი დროებითია - თქვენი შრომისუნარიანობისა და ინტუიციის წყალობით, მოვლენები მალე თქვენს სასიკეთოდ განვითარდება.

***ქალწული*** — ხელსაყრელი დღეა საქმიანი გეგმების განსახორციელებლად, თუმცა ცოტა განტვირთვაც არ გაწყენდათ, მით უმეტეს, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ დასახოთ სამომავლო გეგმები.

***სასწორი*** — დროა გაიხსენოთ, რომ სამსახურის გარდა, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საკითხები და ოჯახის წევრებიც თქვენს უყურადღებობას ძალიან განიცდიან, ამიტომ ეცადეთ, დრო თანაბრად გაანაწილოთ.

***მორიელი*** — პაემანი ან სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით. შეეცადეთ, წინასწარ განსაზღვროთ ყოველი ქმედება და მოსალოდნელი შედეგებიც გააანალიზოთ — სხვაგვარად წარმატებას ვერ მიაღწევთ.

***მშვილდოსანი*** — მოგიწევთ, სახლში თქვენი მოვალეობა შეასრულოთ, მართალია, ეს დისკომფორტს შეგიქმნით, მაგრამ თქვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს.

***თხის რქა*** — სერიოზული საუბარი ან მწვავე დისკუსია გელით გავლენიან ადამიანთან. შეეცადეთ, დაიცვათ საკუთარი აზრი, მაგრამ კონფლიქტს ნუ დაუშვებთ.

***მერწყული*** — თავი შეიკავეთ თანხის ფლანგვისგან, რადგან მოსალოდნელია ფინანსური სირთული, რომელიც სამსახურში პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ეცადეთ მალე მოაგვაროთ ეს საკითხი.

***თევზები*** — შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ თქვენზე არაფერია დამოკიდებული. მოგინდებათ, ყველას გაერიდოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ასე ვერაფერს მიაღწევთ. ფორტუნაც თქვენს მხარესაა, ამიტომ გაბედულად იმოქმედეთ.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


# ჩასუტებაზე ალერგია აქვს



ოქსფორდში მცხოვრები ენტონი ბრაიანი იშვიათი სენით — Epidermolysis Bullosa დაიბადა და შეხების დროს კანზე წყლულები უჩნდება. არადა, ენტონი მხოლოდ 18 კვირისაა და ოჯახის წევრები ვერც კი იხუტებენ, რათა მას ტკივილი არ მიაყენონ. ჩემს შვილს ვერაფრით ვეხმარები და ძალიან მეცოდება... ვცდილობ, არ ჩავეხუტო, მაგრამ ეს ძალიან ძნელია, — აცხადებს ენტონის დედა.

# ჩემოდანი მფლობელს „კუდში მისდევს"



მოგზაურობა თავგადასავლების ძიების გარდა, ადამიანისგან ფიზიკურ ამტანობასაც მოითხოვს და ამიტომ, ვისაც მძიმე ჩემოდნების თრევა ეზარება, სახლში დარჩენას ამჯობინებს, მადრიდელი დიზაინერის, როდრიგო გონსალესის გამოგონება — ჩემოდანი Hop, ყველა სტერეოტიპს ამსხვრევს — ამ სასწაულ ჩემოდანს ძებნა არ სჭირდება, ის თავად მოგძებნით და სადაც უნდა წახვიდეთ, გამოგყვებათ. სიახლე აღჭურვილია სამი რესივერით, რომელიც მფლობელის სმარტფონს Bluetooth-ის მეშვეობით უკავშირდება. ტელეფონის მდებარეობა ჩემოდნის ელექტრონულ შიგთავსს გადაეცემა და ისიც ავტომატურად მიყვება ნაჩვენებ კოორდინატებს. ჯერჯერობით, კეისის პარამეტრებია — 55x40x20 სმ, თუმცა პროექტი დამუშავების პროცესშია.



# ჰოროსკოპი
## 24 ოქტომბერი

***ვერძი*** — ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. კარგი პერიოდია სპორტით დაკავებისა და უცხო ენების შესწავლისთვის. ძლიერდება სექსუალური პოტენციალი. იმედი გქონდეთ, რომ თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

***კურო*** — მოემზადეთ პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებისთვის და ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან, დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. წარმატება გელით, თუ თავს არ დაზოგავთ და დასახული მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლებთ.

***ტყუპები*** — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. პოზიტიური ცვლილებების სურვილი გაგიჩნდებათ, მაგრამ თუ ზედმეტ ემოციურობასა და მოუთმენლობას გამოავლენთ, შესაძლოა, დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

***კირჩხიბი*** — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა აქტიური დასვენებისთვის. ვარსკვლავები ხელს უწყობენ მოგზაურობას და წარმატებასაც გპირდებიან. მთავარია დარწმუნებული იყოთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ნამდვილად მზად ხართ.

***ლომი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, ხელები დაიკაპიწოთ და ენერგიულად შეუდგეთ საქმეს. არ არის გამორიცხული, ბიზნესში საქმიანობა გაააქტიუროთ. სიყვარულში კი ყველაფერი ძველებურად დარჩება — თავი აარიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს.

***ქალწული*** — შესანიშნავი დღეა პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობისთვის, კომერციული ოპერაციებისთვის. მგზავრობა, შეხვედრები და ახალი საქმე დადებით შედეგებს მოიტანს.

***სასწორი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, დრო ოჯახს დაუთმოთ, არც მოგზაურობაა მიზანშეწონილი. შეეცადეთ კარგად გაერკვეთ გრძნობებში და გააანალიზეთ ყოველი ნაბიჯი.

***მორიელი*** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იზრდება თქვენი ავტორიტეტი — წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

***მშვილდოსანი*** — სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. შესაძლოა ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი.

***თხის რქა*** — წარმატებული დღე გელით პირად ურთიერთობებში. ძნელი არ იქნება, გაწონასწორებული დამოკიდებულების შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშვება და ნებისმიერი საქმეც წარმატებული იქნება.

***მერწყული*** — სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები მოსვენებას გიკარგავთ, მაგრამ მათ მოსაგვარებლად შესაფერისი დრო არ არის. სჯობს, გაერიდოთ ვითარებას, განიტვირთოთ და მოქმედებისთვის უკეთესი მომენტი შეარჩიოთ.

***თევზები*** — საკმარისია ეჭვის თვალით უყურება — მეტი ნდობით მოეკიდეთ ადამიანებს და მათაც იგივე დამოკიდებულება გაუჩნდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო დარჩებით, რაც უარეს მდგომარეობაში ჩაგაგდებთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | | | 5 | 7 |
| | | 2 | 4 | 6 | | | | |
| | 8 | | | 7 | | | 6 | |
| | 7 | | 5 | | | 8 | | |
| | 5 | | | | | | 3 | |
| | | 3 | | | 6 | | 1 | |
| | 1 | | | 9 | | | 4 | |
| | | | | 2 | 4 | 9 | | |
| 8 | 9 | | | | | | | 1 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | | | | | |
| | | | 3 | | 1 | 9 | 8 | |
| | | | 9 | 8 | 7 | | 6 | |
| | | 3 | | | 9 | 6 | | 5 |
| | 4 | | | | | | 7 | |
| 2 | | 6 | 5 | | | 3 | | |
| | 2 | | 1 | 9 | 6 | | | |
| | 9 | 4 | 8 | | 2 | | | |
| | | | | | | 7 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 5 | | | | | |
| | | | 8 | | 7 | | 4 | 3 |
| | 7 | | | | | 1 | | 2 |
| 4 | | | 1 | | | 7 | | |
| | | 7 | | 5 | | 4 | | |
| | | 3 | | | 4 | | | 8 |
| 3 | | 6 | | | | | 9 | |
| 9 | 2 | | 6 | | 1 | | | |
| | | | | | 8 | | | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | | | 4 | | 8 |
| 4 | 3 | | 6 | | | | | 7 |
| | 9 | | | | 1 | | | |
| 2 | | | 8 | | 6 | | | |
| | | 5 | | 4 | | 1 | | |
| | | | 5 | | 9 | | | 6 |
| | | | 7 | | | | 6 | |
| 9 | | | | | 4 | | 3 | 2 |
| 5 | | 3 | | | | 8 | | |



# „ჩუმი" რესტორანი ნიუ იორკში

თანამედროვე ცხოვრების რიტმი ძალიან სწრაფია და ადამიანებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, ცოტა ხნით მაინც განმარტოვდნენ. ნიუ იორკში გაიხსნა დაწესებულება მათთვის, ვისაც მშვიდ გარემოში ვახშმობა სურს — კლიენტები იქ მხოლოდ მიირთმევენ და არ საუბრობენ, ხოლო ვინც ამ ოქროს წესს დაარღვევს, გაგდება ემუქრება. როდესაც ჩვენი მზარეულები ასეთ გემრიელ კერძებს ამზადებენ, რატომ უნდა დაკარგო დრო საუბარში? — კითხულობს ამ უცნაური დაწესებულების მფლობელი, რომელიც კლიენტების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

# წყვილმა 80 წლის შემდეგ იქორწინა

პარაგვაიში მცხოვრებმა მოხუცებულმა წყვილმა, 80-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გადაწყვიტა ამ კავშირის დაკანონება. ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულმა სასიძომ, 103 წლის მანუელ რიელიამ საუკუნო სიყვარული და ერთგულება შეჰფიცა 99 წლის პატარძალს მარტინა ლოპესს, რომელიც ამ სადღესასწაულო ცერემონიისთვის გრძელ თეთრ კაბაში იყო გამოწყობილი. ქორწილი წყვილის სახლში გაიმართა და ჯვარიც იქვე დაიწერეს, ამ „დაგვიანებულ" ქორწილს კი სიძე-პატარძლის 8 შვილი, 50 შვილიშვილი, 5 შვილთაშვილი და 20 შვილთაშვილისშვილი ესწრებოდა.





# ღვინო კატებისთვის



ამომავალი მზის ქვეყანაში, მაღაზიათა დახლებზე ახალი პროდუქტი გამოჩნდა — ღვინო კატებისთვის, რომელსაც Nyan Nyan Noveau უწოდეს. 180-მილილიტრიანი ბოთლის ღირებულება, დაახლოებით, 4 დოლარია, ავტორი კი — კომპანია B&H Lifes, რომელიც ცხოველების საკვებს აწარმოებს. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი პროდუქტი იმ კატებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა პატრონებს სურთ, ოთხფეხა მეგობრებმა მათთან ერთად იზეიმონ შობა ან სხვა დღესასწაული. რასაკვირველია, სასმელი არ შეიცავს ალკოჰოლს, სამაგიეროდ, კაბერნეს ჯიშის ყურძნისგან მომზადებულ წვენს დამატებული აქვს ვიტამინები, პიტნა და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. სხვათა შორის, ამავე ფირმას ეკუთვნის ლუდი ძაღლებისთვის — Wan Wan Beer, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიაში.



# მანქანის რეცხვა საჩუქრით

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში, ერთ-ერთი ავტოსამრეცხაო კლიენტებს „ორიგინალური" მარკეტინგით იზიდავს და მანქანის ყოველ მეათე გარეცხვაზე კლიენტს უფასო სექსს სთავაზობს. ასეთი წინადადება საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა მალაიზიელი მამაკაცებისთვის, რადგან სამრეცხაო დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა ამ ფაქტმა სამართალდამცავების ყურადღებაც მიიქცია, საქმეც აღიძრა და გაირკვა, რომ ეს ყველაფერი კანონის ჩარჩოებს სცილდებოდა. საროსკიპოებში ჩატარებული რეიდის შემდეგ პოლიციამ ავტოსამრეცხაოს 5 კლიენტი დააკავა — ზოგიერთი მამაკაცი მეათე მომსახურებას არ ელოდებოდა და სექსმომსახურების მიღებისთვის სამრეცხაოს ადმინისტრაციას 400-500 დოლარს უხდიდა, რის შემდეგაც ყალბ ქვითრებს აძლევდნენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).







